



ლიბეხანი

№ 124 / 18 - 24 თებერვალი / 2013

ინტერვიუ ლია მუსაშავერიასთან **33. 10**

კოლექტიური თვითმკვლელობა **33. 08**

მინათმომქმედების იაფფასიანი სამოთხე **33. 14**

აღთქმული გაზრის კართან **33. 20**

უწყლო ცივილიზაცია **33. 26**

დაფინანსების გარეშე დარჩენილი C ჰეპატიტი **33. 32**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2 ლარი

დაუსვანი ტეხიბოხიები

33. 40





ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՌԵՋԻՍՏՐԱԿԱԶՄԱՆՈՒՄԻ ԸՆԴ ԿԱՐԿՆԵՐՈՒՄԻ ԶԱՆԳՏՎԱԾՈՒՄԸ

ՆԱԿԱՆԵՐԻ ԵՐԵՈՒՆԻ

ԵՐԵՈՒՆԻ 8:00 ԱՅՈՒՆՆԵՐՆԵՐԸ "ՑԻՄԵՆԻ ԿՈՆԿՐԵՏԻ ԶԱՆԳՏՎԱԾՈՒՄԸ"



მთავარი რედაქტორი

შორენა შვერდიაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ბექიშვილი

რედაქტორები

ლიკა ზაკაშვილი

ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტები:

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ღვედაშვილი

კონტრიბუტორები:

ნანა ნასყიდაშვილი, ჰაატა ქურდაძე, ბექა დავითულიანი, თემო ბარძიმაშვილი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი

ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და პრინციპების

განვითარების მენეჯერი

რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:

ქეთევან ქავთარაძე

მარკეტინგის მენეჯერი:

ია შენგელია

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამომწერის მსურველები

დაგვიკავშირდით: 247 10 05.



ახლა, სანამ ამ სვეტის წერას შევუდგებოდი, ორი ამბავი გაავრცელეს საინფორმაციო სააგენტოებმა – ოშკი და იშხანი აღდგება და გიგი უგულავა თვითონ მივა დაკითხვაზე.

ამ ამბებზე ჟურნალში დაწერა ვერ მოვასწარი.

პირველი – დიდი ხნის ნალოდინარი სიხარულია. პრემიერ-მინისტრის თურქეთში ვიზიტის შემდეგ გადაწყდა, რომ ქართული კულტურის ორი უმნიშვნელვანესი ძეგლი გადარჩება, თანაც, აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოებს ქართველი რესტავრატორებიც დააკვირდებიან. ამასთანავე, ბათუმში ახალი მეჩეთიც აშენდება. ჯერჯერობით აგრესიული მრეველი და დადარაჯებული პოლიტიკოსები, მეჩეთის აღდგენას ქვეყნის დაქცევად რომ გვისახავდნენ, დუმან. ვნახოთ, რა იქნება. ძალიან მაინტერესებს.

მეორე – სევდიანი ამბავია. ძალიან კარგი იქნებოდა, ჩინოვნიკებს ჭკუა ჰყოფნიდეთ და ისე იქცეოდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს პროკურატურაში არ აღმოჩნდნენ დაკითხვაზე. სამწუხაროდ, ასე არ ხდება თითქმის არსად, და მათ შორის – არც საქართველოში. მერის მიმართ კითხვები არა მხოლოდ სამართალდამცავებს, არამედ, ჟურნალისტებსაც გვაქვს. ძალიან მინდა, სამართალდამცავების კითხვები ისეთი აღმოჩნდეს, რომ გიგი უგულავა საპატიმროს გადაურჩეს.

ბოლო ერთი კვირა ჩვენ ირგვლივ ჰაერიც კი უარყოფითადაა დამუხტული. თითქმის ისე, როგორც წინასაარჩევნოდ, როცა რეგიონებში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ურტყამდნენ და ხშირად ისე სცემდნენ – ძვალსა და რბილს უერთიანებდნენ. პოლიცია მაშინ ისევე არ იცავდა დაზარალებულებს, როგორც რვა თებერვალს – ბიბლიოთეკის წინ. ეს მუშტი-კრივი მძიმე საყურებელი იყო მაშინაც და ახლა ორგმაგად მძიმეა. როგორც ჩანს, სამართალდამცავებს არ შეუძლიათ იყვნენ უბრალოდ, პოლიციელები და არ დაიჭირონ მმართველი ძალის მხარე.


ჰო, ჩელიაბინსკში მეტეოროიტის ჩამოვარდნამ კიდევ ერთი ბანალური ამბავი შეგვახსენა ყველას – რა უმწეოდ ვკიდევართ ამ უზარმაზარ კოსმოსში და რა წარმავალია ყოველივე, თუკი ზეცა გაგვინყრება.

ნინო ბექიშვილი
აღმასრულებელი რედაქტორი




მინათმოქმედების იაფფასიანი საშუალება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2012 წლის გადაწყვეტილებით, უცხოელ ფიზიკურ პირს საკუთრების შეძენის უფლება საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელი ყველა საშუალებით მიენიჭა. ამ ცვლილების შემდეგ, უცხოელ ინვესტორთა რაოდენობა ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა. დღეისთვის ქალაქ წნორში ინდოეთიდან ჩამოსულ არაერთ ფერმერს შეხვდებით, რომლებმაც სასოფლო-სამეურნეო მიწა ადგილობრივი მოსახლეობისგან საკმაოდ იაფად შეიძინეს და მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ნაკვეთები თითქმის მთლიანად აითვისეს. საქართველოში ინდოელების პირველი ნაკადი წელიწადნახევრის წინ ჩამოვიდა. დღეისათვის აქ დაახლოებით 200 ინდოელია, მათ ნაწილს მიწა იჯარით აქვს აღებული, ნაწილმა იყიდა, ზოგიც ჯერ კიდევ ეძებს.

 გიორგი ჭეიშვილი
83.14

"ჯანუხისმბაზი საცხად ხელისუფლება"


„ჩვენ ხელისუფლებას მართვის სადავეები იმიტომ ვანდეთ, რომ წინასწარ განჭვრიტონ და აღკვეთონ თუნდაც პროვოკაციები. საუბრობენ იმასაც, რომ ადრე თუ ხელისუფლება სცემდა ხალხს ახლა დაპირისპირება კერძო პირებს შორის მოხდა. თუმცა, ჩემთვის, ამ ქვეყნის მოქალაქისა და უფლებადამცველისთვის, განსხვავება არ არსებობს. მე პატიოსნად ვიხდი გადასახადებს იმისთვის, რომ პოლიციამ დამიცავს“ – ამბობს უფლებადამცველი.

 ზურაბ ვარდიაშვილი
83.10

ალთაქანი ბაზრის ხაზთან

რუსეთის ბაზარზე შესვლის სურვილი ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელმა თითქმის ყველა კომპანიამ გამოთქვა. მათ შორის ღვინის მწარმოებელი 80 და მინერალური წყლების 4 კომპანიაა. ბოლო კვლევების თანახმად, რუსეთის მოსახლეობის 45% მზად არის, ქართული ღვინო გასინჯოს. ღვინის ქართული ბაზრის მსხვილი კომპანიის ყველა ხელმძღვანელი თანხმდება, რომ რუსეთის ბაზარი დიდ პერსპექტივასთან ერთად დიდ რისკსაც შეიცავს. პრეზიდენტ პუტინის ხელში „როსპოტრეზნადზორი“ ეკონომიკური იარაღია, რომლის მეშვეობითაც ის პოლიტიკური ვითარების შესაბამისად რუსეთში ხან ამერიკული ხორცს კრძალავს, ხან ქართულ ღვინოს და ხან უკრაინულ ყველს. გარანტია, რომ ერთ „მშვენიერ“ დღეს ქართულ პროდუქციას რუსეთის ბაზრიდან ისევ არ გამოაძევენ, არ არსებობს. მეღვინეები ამბობენ, რომ უნდა გარისკონ, რადგან ის ვინც არ რისკავს, არც შამპანურს სვამს.




 მანანა ვარდიაშვილი
83.20

ემოციებსა და ფაქტებსა


„ემოციურად გასაგებია, რომ ოპოზიციის მიზანი ხელისუფლების დისკრედიტაცია და არა თანამშრომლობა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ჩვენთვის ნორმა ყველა დროში და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვისი მხრიდან რა არის პროვოცირებული. ხელისუფლებამ პროვოკატორი მოქალაქეც უნდა დაიცვას, ან არ უნდა მისცეს პროვოცირების საშუალება.“


ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით ხელისუფლება თავის მართლების პოზიციაში ჩადგა, ოპოზიციამ კი ევროპელების თვალში თავი მსხვერპლად წარმოაჩინა. ასე თუ გაგრძელდა, ადრე თუ გვიან შედეგი დადგება. შეიძლება, რომელიმე მხარისთვის სასარგებლო, მაგრამ ქვეყნისთვის – არასასურველი“

 ბეკა დავითულიანი
03.46


ფოტოჰიქსი

დაუსველი ტერიტორიები



 თემო ბარძიმაშვილი
03.40-45

ნომერში:



ფოტო: თემო ბარძიმაშვილი

- 04 მოკლედ **ორი აზრი**
- 06 შეიძლება თუ არა სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე? **თვალსაზრისი**
- 08 კოლექტიური თვითმკვლელობა **ინტერვიუ**
- 10 „პასუხისმგებელი ცალსახად ხელისუფლებაა“ **მთავარი თემა**
- 14 მიწათმოქმედების იაფფასიანი სამოთხე **ეკონომიკა**
- 20 ალტექმული ბაზრის კართან
- 24 გადაჭარბებული ოპტიმიზმიდან პესიმისტურ მოლოდინებამდე **ჟურნალისტური გამოძიება**
- 26 უწყლო ცივილიზაცია **მედია**
- 32 ბოდიში, C ჰეპატიტის მკურნალობისთვის ბიუჯეტში ფული არ არის **საზოგადოება**
- 36 საზოგადოების სიმშვიდე ძაღლების სიცოცხლის ფასად **ფოტორეპორტაჟი**
- 40 დაუცველი ტერიტორიები **თვალსაზრისი**
- 46 ემოციებსა და ფაქტებზე
- 48 **ციტატები**

გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ სააქტუო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გაჭდე:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ჯიხაში მათაოხისის ჩამოვარდნის შედეგად 250 ადამიანი დაშავდა



რუსეთის საგანგებო სამსახურების ცნობით, ჩელიაბინსკის ოლქში მეტე-ორიტის ჩამოვარდნის შედეგად 250 ადამიანი დაშავდა, მათ შორის არიან ბავშვებიც. მეტეორიტის ჩამოვარდნის დროს რამდენიმე შენობაში ფანჯრები ჩაიშხვრა, რის გამოც მოქალაქეთა უმეტესობამ უშიშვნელო დაზიანებები მიიღო.

თვითმხილველების თქმით, მათ დაინახეს, თუ როგორ ჩამოვარდა ამოუცნობი ობიექტი და ქალაქ ჩელიაბინსკში ერთ-ერთ ქარხანას დაეცა. ჩელიაბინსკის მერიის ცნობით, რადიაციული მაჩვენებლები ქალაქში ნორმის ფარგლებში რჩება. მთავრობამ ქალაქის მცხოვრებლებს სახლში დაბრუნება და ბავშვების სკოლიდან წამოყვანა ურჩია. საგანგებო სამსახურები შემთხვევის ადგილზე მუშაობას განაგრძობენ.

15 თებერვალს, ამერიკის კოსმოსურმა სააგენტო „NASA“-მ გაავრცელა ცნობა, რომ პარასკევს დედამიწას საკმაოდ ახლოს ჩაუფრენს ოლიმპიური სტადიონის სიდიდის ასტეროიდი, თუმცა მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სატელიტურ სისტემებს ის საფრთხეს არ შეუქმნის.

ესპანეთში ხსნი, ჯიხინჯი და ქიხიჯი აიხიანაშაქაბი აიჭიხა


ესპანეთის ხელისუფლებამ Europol-თან ერთად კიბერ-კრიმინალების ის ქსელი გამოამჟღავნა, რომლის მეშვეობითაც დამნაშავეები მსოფლიოს მასშტაბით ათასობით კომპიუტერს ვირუსით აინფიცირებდნენ და მილიონ-

ნობით მოგებას ნახულობდნენ. ესპანელმა სამართალდამცავებმა კიბერ დაჯგუფების წევრობაში ეჭვმიტანილი 11 ადამიანი დააკავეს, მათ შორის რუსეთის 6 მოქალაქე, ორი უკრაინელი და ორი ქართველი. Europol-ის მონაცემებით, დაჯგუფების ლიდერი რუსეთის 27 წლის მოქალაქეა, რომელიც სხვადასხვა სახის ვირუსების შექმნაზე, განვითარებასა და მსოფლიოში გავრცელებაზე იყო პასუხისმგებელი.

როგორც ევროპის პოლიციის ოფისი იტყობინება, ეჭვმიტანილები კომპიუტერს ვირუსით აინფიცირებდნენ და კომპიუტერის მფლობელებს არალეგალური კონტენტის, ძირითადად, ბავშვთა პორნოგრაფიის ყურებაში ადანაშაულებდნენ.

ამის შემდეგ კიბერდანაშაულის მსხვერპლს ატყობინებდნენ, რომ კომპიუტერის კვლავ გამოყენების სანაცვლოდ, მათ ჯარიმა უნდა გადაეხადათ.

ბაჩაჩა ობამას ყოველწლიური მიუხიხა



ბარაკ ობამა ყოველწლიური მიმართვით საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წარსდგა. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში პირობა დადო, რომ ამერიკის ეკონომიკის გასაჯანსაღებლად ქვეყნის მოქალაქე საშუალო კლასის წარმომადგენლებისთვის მრავალსამუშაო ადგილს შექმნის.

პრეზიდენტმა თავის სიტყვაში ჯანდაცვის სფეროში რეფორმების გაგრძელებაზე, იარაღის შენახვა-ტარების შესახებ კანონმდებლობის გამკაცრებაზე, ქალთა უფლებების

დაცვაზე, საიმეგრაციო პოლიტიკაზე და კლიმატურ ცვლილებებზე გაამხვილა ყურადღება.

ამას გარდა, ბარაკ ობამამ ავლანეთიდან ამერიკული კონტიგენტის გამოყვანის საკითხსაც შეეხო და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ 340 000 სამხედრო სამშობლოში წლის ბოლომდე დაბრუნდება.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბირთვული განიარაღების საკითხზე მსოფლიოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ამ მხრივ ამერიკა მსოფლიოს მაგალითს აჩვენებს.

ობამას გამოსვლის შემდეგ, კონგრესში საპასუხო სიტყვით რესპუბლიკელი სენატორი მარკ რუბიო გამოვიდა. როგორც ცნობილია, რუბიო ქვეყანაში გადასახადების გაზრდის ინიციატივას გააკრიტიკებს. მარკ რუბიო 2016 წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელების ერთ-ერთ კანდატად განიხილება.

მოსკოვის პოლიციამ ბივი თაიხაბაძეზე ფაქიხიხი ქაბა ოფისიანიხა ბამოაახადა


რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსული ოპოზიციის დაფინანსებისა და მასობრივი არეულობის ორგანიზების ბრალდებით გივი თარგამაძეზე ძებნა გამოაცხადა.

რუსული ძალოვანი უწყების პრესსამსახურის თანამშრომლის ინფორმაციით, მოსკოვის პოლიციამ თარგამაძეზე ფედერალური ძებნა გამოაცხადა და ინფორმაცია ქართველ პოლიტიკოსზე ძებნაში მყოფი პირების ბაზაში შეიტანა.

საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენლის ვლადიმერ მარკინის განცხადებით, გივი თარგამაძე რუსეთში მასობრივი არეულობის მოწყობაშია ბრალდებული.

საუბარი 2012 წლის მაისში, მოსკოვში მოწყობილ მილიონიან მარშსა და პოლიციელებთან მომხდარ შეტაკებას ეხება.

საქმეში ფიგურირებს ვიდუო-მასალაც, რომელიც ქართველი პარლამენტარისა



და რუსი ოპოზიციონერების შეხვედრას ასახავს. საქართველოს მთავარ პროკურატურაში რუსი კოლეგებისგან შესაბამის მასალასა და მტკიცებულებს ელოდებიან. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული თარგამაძე სამშობლოში გაასამართლონ.


მსოფლიოში იქალაქითი შიომის მსხვერპლი 21 მილიონი ადამიანი

8 თებერვალს ჟენევაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ყოველწლიური მოხსენება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც დღეისთვის მსოფლიოში 21 მილიონი ადამიანი იძულებითი შრომის მსხვერპლია. ზოგიერთ მათგანს იძულებით ამყოფებენ სამუშაო ადგილას, ნაწილს კი სამუშაოს დატოვება მოვალეების წინაშე ვალდებულებების გამო არ შეუძლია (შრომითი მონობის ეს ტიპი დღემდე არსებობს აზიურ ქვეყნებში). 21 მილიონიდან 19 მილიონ შემთხვევაში მაიძულებელი კერძო მესაკუთრე ან საწარმოა, 2 მილიონამდე ადამიანს კი იძულებითი შრომის მსხვერპლად სახელმწიფო სტრუქტურები თუ კრიმინალური დაჯგუფებები აქცევენ. ამჟამად იძულებითი შრომის პრობლე-

მის მოსაგვარებლად საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობს. მასში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები, პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებელთა ასოციაციების წარმომადგენლები იღებენ. კონფერენციის მიზანია იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლოატაციის თავიდან ასაცილებლად დამატებითი გარანტიების შექმნა. დღეისთვის იძულებითი შრომის შესახებ 1930 წლის კონვენცია და იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ 1957 წლის კონვენციები მოქმედებს, თუმცა იძულებითი შრომის გამოყენება ისევ მასშტაბურ პრობლემას წარმოადგენს და დიდი ფინანსური მოგების წყაროა. გამართული კონფერენციის მიზანი შრომითი ექსპლოატაციის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის გარანტიების შექმნაცაა.

ოზჯისა და იზხანის აღდგენას ჩახთვანი აჩიქაქსოჩები დააპროექტებინან

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის თქმით, თურქეთში ქართული ტაძრების, იზხანისა და ოშკის აღდგენის პროცესს ქართველი არქიტექტორები დააკვირდებიან. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა თურქე-

თის პრემიერ რეჯეფ თაიფ ერდოღანთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „თურქეთში ოშკის და იზხანის ძეგლების აღდგენა მიმდინარეობს და მან მყისიერად პასუხი გამცა, რომ იქ შეიძლება დაშვება ქართველი არქიტექტორების, ქართული ჯგუფის და ყურადღების მიდევნება ამაზე“, – აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და რეჯეფ თაიფ ერდოღანს ამისათვის მადლობა გადაუხადა. თავის მხრივ, ივანიშვილი თურქეთის პრემიერ-მინისტრს საქართველოს ტერიტორიაზე თურქული ძეგლების მოვლა-პატრონობას დაჰპირდა. თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ძეგლების აღდგენის სამუშაოები ჯერჯერობით არ დაწყებულა, თუმცა იზხანისა და ოშკის რესტავრაცია უახლოეს მომავალში იგეგმება. 



ღიას


ზურაბ ჯაფარიძე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

ცხადია, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწები უნდა იყიდებოდეს. ამ შემთხვევაში, რომელი ქვეყნის მოქალაქე შეიძენს მიწას ან სხვა რესურსს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. როდესაც რესურსი, თუნდაც მიწა, ერთი ხელიდან მეორეში გადადის, სულ ერთია, კერძო მესაკუთრე ყიდის თუ სახელმწიფო, ეს ნიშნავს, რომ ამ რესურსის გამოყენება უფრო ეფექტურად მოხდება ახალი მესაკუთრის მიერ, სახელმწიფოსთვის კი, ეს ყოველთვის უფრო მომგებიანია. თუ რესურსი ამუშავდება, ეს ნიშნავს, რომ ვიღაც მეტ გადასახადს გადაიხდის საქართველოს ბიუჯეტში და შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო შეძლებს უფრო მეტი რამეს დაფინანსებას, მათ შორის, თუნდაც სოციალური ვალდებულებების დაფინანსებას. ამ ფულით გავცემთ უფრო მეტ პენსიას, მეტ ხელფასებს სკოლის პედაგოგებისთვის, უფრო მეტ დახმარებას სოციალურად გაჭირვებულებისთვის და ა.შ.

რაც შეეხება შიშს, რომ მიწა უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში გადადის, ეს ირაციონალური შიშებია. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მიწის ან ნებისმიერი რესურსის გადასვლა არ ნიშნავს, რომ მიწა სახელმწიფოს იურისდიქციიდან გადადის. ამიტომ, ვისაც ასეთი შიშები აქვს, უნდა გაეცნოს სახელმწიფოს და ეკონომიკის საფუძვლებს.

თუ მიწა, რომელსაც ყიდიან, კერძო საკუთრებაა, ანუ რომელიმე ქართველს ეკუთვნოდა და ახლა უცხოელზე ყიდის, ეს კერძო საკუთრებაა და არავისი საქმე არ არის, რომელი ქვეყნის მოქალაქეს მიჰყიდის. ნებისმიერ შემთხვევაში, მიწისთვის ახალი მფლობელის გამოჩენა ნიშნავს, რომ დიდი ალბათობით, ის უკეთ გამოიყენებს მიწას, ვიდრე წინა მფლობელი.

თუ ეს მიწა სახელმწიფოს მფლობელობაში იყო აქამდე, ესე იგი, მიწას ვერ იყენებდა, არათუ ეფექტურად, არამედ საერთოდ. მიწის გაყიდვა კი, სულ ერთია, რომელი ქვეყნის მოქალაქეზე ან სადაურ კომპანიაზე, ნიშნავს მიწის გადასვლას კერძო საკუთრებაში და მის უფრო ეფექტურად გამოყენებას და ეკონომიკაში ჩართვას. 



შეიძლება თუ არა სახელმწიფოს მიწების ბაჟიდან უფრო მეტი რამეს დაფინანსებას, მათ შორის, თუნდაც სოციალური ვალდებულებების დაფინანსებას.

■ თუ რესურსი ამუშავდება, ეს ნიშნავს, რომ ვიღაც მეტ გადასახადებს გადაიხდის საქართველოს ბიუჯეტში და შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო შეძლებს უფრო მეტი რამეს დაფინანსებას, მათ შორის, თუნდაც სოციალური ვალდებულებების დაფინანსებას.



არა

გია ჟორჟოლიანი

კოალიცია „ქართული ოცნება“, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი

საკითხი ის კი არაა, უცხოელებზე უნდა გაიყიდოს თუ არა მიწები, არამედ ზოგადად - უნდა გაიყიდოს თუ სათემო საკუთრება უნდა გახდეს.

წინა მთავრობას ამ პრობლემისადმი ზელიბერალური მიდგომა ჰქონდა და მიიჩნევდა, რომ ბაზარი თავად დაარეგულირებს ყველაფერს. შედეგად, დღეს პრაქტიკულად უკონტროლო მდგომარეობა მივიღეთ მიწის გაყიდვის და საერთოდ, მიწების რეგისტრაციისა და განკარგვის საკითხში. კანონდებლობაც გაუაზრებელი და უსისტემოა და ზელიბერალურ, მეტისმეტად გამარტივებულ წარმოდგენებს ეყრდნობა. ასეთი მიდგომა, როგორც მინიმუმ, არაეფექტურია სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული კუთხით. მიწის საკითხს უკავშირდება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, რომლის მომზადებაშიც მე ვმონაწილეობ. ეს რეფორმა არ შეცვლის თვითმმართველობას, როგორც ერთ-ერთ ელემენტს, არამედ ეს იქნება მთელ საქართველოში მმართველობის სისტემის თვისობრივი შეცვლა რეალური დემოკრატიის დამკვიდრებისთვის. ამ თვალსაზრისით, არსებითია მიწების დანაწილებისა და მათი მდგომარეობის შესწავლა. ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მიწის საკუთრების შესაძლო ფორმები: სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო და საერთო სასოფლო მიწები. რეფორმის შედეგად სოფელი ჩამოყალიბდება, როგორც იურიდიული პირი, რომელსაც ექნება საკუთარი ტერიტორია და ამ მიწების გასხვისება არ მოხდება.

ამ დრომდე მიწის საკუთრების ფილოსოფია, მიწის, როგორც ეკონომიკური ფუნქციონის და თვითიდენტობის მაკონსტრუირებელი ნაწილის მნიშვნელობა გააზრებული არ ყოფილა და მმართველი ძალა მიწას განიხილავდა, როგორც მხოლოდ წარმოების საშუალებას, როგორც დანადგარს, რომელიც შეგიძლია წახვიდე და მაღაზიაში იყიდო... მიწა ასეთი პროდუქტი კი არაა, ჩვენი და სხვა მოქალაქეების საცხოვრებელი გარემოა, საკუთარ თავს მასთან მიმართებით აღვიქვამთ და ამიტომ ქვეყნის განცდასთან, მოქალაქეობის განცდასთან არის დაკავშირებული.

საპარლამენტო უმრავლესობა ამას საკმაოდ კარგად ხვდება და მზადდება სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც მიწის მფლობელობისა და განკარგვის საკითხებს სისტემამო მოაქცევს. მესაკუთრის ეროვნებას რაც შეეხება, ამას, თავისთავად, მნიშვნელობა არ აქვს. მიწისთვის ზიანის მიყენება უცხოელსაც შეუძლია და ქართველსაც – ეს მიწის ფენომენის გააზრებაზე დამოკიდებული და არა ეროვნებაზე. **■**

სოფლო-სამაუხნო ქვეყნის მოქალაქეებზე?

■ კანონდებლობაც გაუაზრებელი და უსისტემოა და ზელიბერალურ, მეტისმეტად გამარტივებულ წარმოდგენებს ეყრდნობა. ასეთი მიდგომა, როგორც მინიმუმ, არაეფექტურია სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული კუთხით.

ხოლქუხი თვითმხვდობა

პაატა ქურდაძე, მწერალი

1. მასადა უდაბნოში ამოზრდილი, კლდოვან მთის წვერზე გაშენებული, მიუვალი ციხესიმაგრეა ისრა-ელში. ჩვენი წელთაღრიცხვით 66 – 72 წლებში, რომა-ელთა წინააღმდეგ დიდი აჯანყების დროს იქ ოკუპან-ტების მიერ იერუსალიმიდან გაძევებული მემბოხეები თავიანთი ოჯახებით იყვნენ გამაგრებულნი, სანამ რომაელმა ლეციუს სილვამ 8 000 ლეგიონერთან ერთად ეს ერთი შეხედვით აუღებელი ციხე-ქალაქი ალყაში არ მოაქცია. რომაელებმა კლდის ერთ კედელზე დაახლო-ებით 100 მეტრის სიმაღლის ბორცვი-კედელი ააშენეს; გამოიყენეს ათასობით ტონა ქვა, ღორღი, მინა... თუმ-ცა, როცა ციხე საბოლოოდ აიღეს, ნახეს, რომ იქ ცო-ცხალი არალავინ იყო. იუდეველებმა რომაელთა ხელში ჩაგარდნას სიკვდილი არჩიეს. მათ გადაწვეს ყველა შე-ნობა, გარდა საკვებისა და იარაღის საწყობებისა, სავა-რაუდოდ, იმ მიზნით, რომ ეჩვენებინათ – თავი იმიტომ არ მოუკლავთ, რომ ალყის დროს რაიმე აკლდათ...

მასადა კოლექტიური თვითმკვლელობის პირველ შე-მთხვევად ითვლება ისტორიაში. მას შემდეგ მსგავსი კოლექტიური დრამის უამრავი შემთხვევაა აღწერილი

ისტორიკოსების მიერ.

კოლექტიური თვითმკვლელობის რამდენიმე განსხვავებული მოტივაცია არსებობს – პატრიოტუ-ლი, სექტანტური, პროტესტის გამოხატველი... იაპო-ნელი სამურაები თვლიდნენ, რომ თვითმკვლელობა საშუალებას აძლევდათ თავიანთ გარდაცვლილ მასწა-ვლებელს ხლებოდნენ იმ ქვეყნად და ამით ღირსება შეენარჩუნებინათ...

ამაზონიის გუარამის ტომის ინდიელებმა, რომლე-ბიც დღეს ევროპელი კოლონიზატორების „წყალო-ბით“ თავიანთი კუთვნილი ტერიტორიების მხოლოდ ერთ პროცენტს ფლობენ, პროტესტის ნიშნად გასული საუკუნის 80 – 90-იან წლებში სამასზე მეტი კოლე-ქტიური თვითმკვლელობის აქტი ჩაიდინეს.

სხვადასხვა სექტების მიერ ორგანიზებული მასო-ბრივი სუიციდის შემთხვევებმა ბოლო ათეულ წლებში მსოფლიო შეაძრწუნა – 1994 წელს „მზის ორდერი“, კვებეკი; 1997 წელი – „ჰევენს გეითი“; 2000-ში უგან-და – „ათი მცნების მოძრაობა“ და სხვ. ამ მასობრივ ჰეროიკულ და ფსიქოზურ ტრაგედიებს საუკუნეების მანძილზე ათასობით ადამიანი შე-ენწირა.

თუმცა, მათ შორის არის ერთი ყველაზე გამორჩეულად უცნაური, ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებ-ლი კოლექტიური თვითმკვლელო-ბის ვარიაცია – როდესაც ამ დრა-მატულ გადანყვებილებას იღებენ ჩვეულებრივი, არაფრით გამორ-ჩეული ადამიანები. რომლებსაც ნევატიური ეგზისტენციალური შე-ხედულებებისა და აქედან გამომდი-ნარე, თვითმკვლელობის იდეის გარდა არაფერი აქვთ საერთო.

ეს ყველაზე ხშირად დამახასია-თებელია გარდატეხის ასაკისათვის. მოზარდებს გაცილებით მეტი კი-თხვა აქვთ, ვიდრე მათზე პასუხი



დაპირისპირება საჯარო ბიბლიოთეკასთან, თბილისი, 8 თებერვალი 2013

ფოტო: გიორგი ბილაშვილი

და კიდევ უფრო ნაკლებად – მათი პოვნის უნარი, ცოდნა, გამოცდილება, მოთმინების სიბრძნე...

2. ბოლო წლებში ჯგუფური თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილი ახალგაზრდებისათვის ინტერნეტი ნამდვილ ფენომენალურ საშუალებად იქცა ერთმანეთის აღმოსაჩენად.

თუმცა, კიდევ უფრო ინოვაციური და საკვირველი მეთოდიც არსებობს და მას ჩემი აზრით, ჩვენ ქართველებმა მივაგენით: ეს გახლავთ კოლექტიური ტელეფონი, რომელსაც უკლებლივ ყველა ქართული ტელეფონი პირდაპირ ეთერში ყოველ საღამოს გვთავაზობს და რომელსაც უცნაურ ტერმინს „კოჰაბიტაცია“ ვუწოდებთ.

საერთოდ, ქართველებს ბევრს სხვა უცნაურ ჩვევასთან ერთად, ტერმინების ინტერპრეტაციებისადმი ძლიერი ლტოლვა გვახასიათებს.. მაგალითად, ეს სრულიად მარტივი ფრანგული ტერმინი, რომელიც მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტსა და მის პოლიტიკურად ანტაგონისტ პარლამენტის მიერ არჩეულ პრემიერს შორის ინსტიტუციონალურ თანაარსებობას ნიშნავს, ჩვენში ინტერპრეტირებულია, როგორც ოჯახის წევრებს შორის, სიყვარულზე, ურთიერთგაგებაზე და რალაც კლანურ საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანაარსებობა. არადა, საქართველოში მსგავსი თანაარსებობა არა თუ ანტაგონისტი, თვით ერთი პარტიული დროშის ქვეშ გაერთიანებულ წევრებს შორისაც არ არსებობს. ეს არასწორად ინტერპრეტირებული „კოჰაბიტაცია“ ცხადია, შეუძლებელია რეალურად შედგეს, ის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მოზარდის ფსიქიკის მსგავსად, კონფლიქტში მოდის რეალობასთან,

და რამდენადაც ინტელექტუალურად ჯერ კიდევ ძალიან სუსტია, აგრესიას საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართავს და თავს იკლავს, თან ყოველ საღამოს, უამრავ ემოციურად მთლიანად ჩართულ ტელემაყურებელთან ერთად, რა თქმა უნდა, პოლიტიკურად...

ნაციონალებს არ სურთ აღიარონ, რომ არჩევენებში დამარცხებული პარტიული ლიდერები მთელ მსოფლიოში რალაც პერიოდით მანინც, თუ არა სამუდამოდ, ჩრდილში გადადიან, რადგან ისინი მარცხთან ასოცირდებიან და მათი პარტიულ სახეებად შენარჩუნება სწორედ პოლიტიკური სუიციდის ტოლფასია. დღევანდელი ქართული საპარლამენტო ოპოზიცია ზუსტად ისე იქცევა, როგორც ნებისმიერი ლოგიკით არ უნდა იქცეოდეს, ის თავს იკლავს თავის კომპრომეტირებულ

ლიდერებთან ერთად და ამით ამტკიცებს, რომ სინამდვილეში პოლიტიკური პარტიას კი არა, ჩვეულებრივ მაფიოზურ კლანს წარმოადგენს, რომლის ხელმძღვანელები ჩრდილში არასდროს გადადიან, ადგილს არასდროს უთმობენ სხვას, და ამის მოთხოვნას ვერც ვერავინ ბედავს... რადგან ასეთ დროს ნებისმიერი კლანი მაშინვე იშლება.

ამ კლანური ოპოზიციის უკიდურესი სიძულვილით განებივრებული „ქართული ოცნება“ კი, ასევე უამრავი უბეში შეცდომის ფუფუნების უფლებას აძლევს თავს, რაც ასევე მისი პოლიტიკური უმწიფრობის და პოლიტიკური უგუნურების ნიშანია და რაც მას აუცილებლად ბოლოს მოუღებს, ყოველ შემთხვევაში, იმ სახით, რომლითაც ის დღეს არსებობს.

ეს არასწორად ინტერპრეტირებული „კოჰაბიტაცია“, ცხადია, შეუძლებელია რეალურად შედგეს, ის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მოზარდის ფსიქიკის მსგავსად, კონფლიქტში მოდის რეალობასთან, და რამდენადაც ინტელექტუალურად ჯერ კიდევ ძალიან სუსტია, აგრესიას საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართავს და თავს იკლავს, თან ყოველ საღამოს, უამრავ ემოციურად მთლიანად ჩართულ ტელემაყურებელთან ერთად, რა თქმა უნდა, პოლიტიკურად...

3. სამწუხაროა, რომ ორი ანტაგონისტი თვითმკვლელი პოლიტიკური დაჯგუფება ვერ ხვდება, რომ მათი შემხედვარე საქართველო მთლიანად არის ჩართული ამ კოლექტიური თვითმკვლელობის პროცესში.

ამ არანორმალური მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანა შეუძლია მესამე რეალურ, ჯანმრთელ, და არა ნაციონალებივით დეპრესიულ თვითმკვლელ ოპოზიციას... თუმცა, მისი გამოჩენა ნაკლებად მოსალოდნელია უახლოეს პერიოდში, თუ ის თავად „ქართული ოცნების“ წიაღში არ წარმოიშვა. არის მეორე თეორიული შესაძლებლობაც, რომ თავად „თვითმკვლელი“ ოპოზიციის, ნაციონალების თავში მოხდება ნამდვილი „გამონათება“: გაემიჯნება თავის დისკრედიტირებულ ლიდერებს და მოსახლეობის თვალში ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად ტრანსფორმირდება... სხვანაირად, ის უამრავი შეცდომა, რომელსაც რეალური პოლიტიკური კონკურენტის გარეშე დარჩენილი „ქართული ოცნება“ ყოველდღე უშვებს, სექტემბრამდე კრიტიკის გარეშე დარჩება. სექტემბრამდე კი ძალიან, ძალიან დიდი დროა... დადლილობისგან აგრესიულ და დეპრესიულ ქართველთა მარადიული მოზარდის მგრძობიარე ფსიქიკა დროში ასეთ განვილილ ტრავმას ვერ გაუძლებს, შესაძლოა, მისთვის ჩვეული ფატალური შეცდომა დაუშვას და კიდევ ერთხელ გამოკრას ჩახმახს თითი... ეს ნამდვილი კოლექტიური თვითმკვლელობა იქნება, რომელსაც სახელად, ალბათ, მომავალში ისტორიკოსები ქართულ სპეციფიურ „კოჰაბიტაციას“ დაარქმევენ. 



ფოტო: ლევან სერაქელიძე

"ჯანსუღისმბეზი სანსანად ხანისუფიბა"

ინტერვიუ უფლებადამცველ
ლია მუხამაფრიასთან

ახალ ხელისუფლების მთავარი შეცდომები, საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენები, გახმაურებული დაჭერები, ამნისტირებულ პატიმართა მომავალი, თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესები, ხელისუფლების პოლიტიკა უმცირესობებთან დაკავშირებით...

საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა, თქვენი აზრით, ვის ეკისრება?

აქ მეტი და ნაკლები არ არსებობს, პასუხისმგებელი ცალსახად ხელისუფლებაა.

თუმცა, მათი წარმომადგენლები ოპონენტთა პროვოკაციულ ქმედებებზე მიუთითებდნენ...

ჩვენ ხელისუფლებას მართვის სადავეები იმიტომ ვანდეთ, რომ წინასწარ განჭვრიტონ და აღკვეთონ თუნდაც პროვოკაციები. საუბრობენ იმაზეც, რომ ადრე თუ ხელისუფლება სცემდა ხალხს ახლა დაპირისპირება კერძო პირებს შორის მოხდა. თუმცა, ჩემთვის, ამ ქვეყნის მოქალაქისა და უფლებადამცველისთვის, განსხვავება არ არსებობს. მე პატიოსნად ვიხილავ გადასახადებს იმისთვის, რომ პოლიციამ დამიცვას.

შსს-მ პოლიტპატიმრის სტატუსით ციხიდან გამოსული პირები ადგილზევე დააკავა, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ სამინისტროს ქმედება?

დიახ, იმ ღამესვე დააპატიმრეს მელორ ვაჩნაძე და მიშა მესხი. აპრიორი მიიჩნევა, რომ უკანონობას პირველ რიგში ისინი ჩაიდენდნენ. მერე დაინწყეს სხვების ძებნა. ეს სწორი პოლიტიკა არ არის.

კარგია, რომ მინისტრი ღარიბაშვილი არეულობის ადგილზე მივიდა, მაგრამ უფრო ადრე უნდა მისულიყო. თავიდანვე იქ რომ მდგარიყო და შეკრებილი ადამიანებისთვის ეთქვა, მათი ემოციები და განწყობა რომ ესმის, თუმცა წესრიგის დაცვა აუცილებელია, დარწმუნებული ვარ, ნაკლები პრობლემა შეიქმნებოდა.

თქვენი აზრით ეს არაპროფესიონალიზმის გამოვლინება იყო თუ პოლიტიკური ნების?

ალბათ, ორივესი. არ მეგონა, რომ ადამიანები ერთმანეთის მიმართ ასეთ სიძულვილს გამოავლენდნენ. ასეთი ატმოსფერო ძალიან საშიშია. დაგროვილი აგრესია დღეს,

შესაძლოა, ბოლომდე ვერ გამოვლინდა, თუმცა თუ უადგილო ადგილზე ნავთის წვეთი მოხვდა, შესაძლოა ალი ავარდეს...

სამოქალაქო დაპირისპირებას გულისხმობთ?

დიახ. ადამიანებს ესმით, რომ კეთილდღეობა და უკეთესი ცხოვრების პირობები უცებ არ მოვა, მაგრამ სამართლიანობის აღდგენა ძალიან მნიშვნელოვანია. ციხეებიდან უამრავი ადამიანი გამოვიდა, რომელთაც იქ ჯოჯოხეთი გაიარეს. ისინი ელოდნენ,

■ მე ყოველთვის ვაკრიტიკებდი იმ მანკიერ პრაქტიკას,

როდესაც იჭერდნენ ადამიანებს

და მტკიცებულებების

შესაგროვებლად მერე

დარბოდნენ. ჯერ შეაგროვონ

უტყუარი მტკიცებულებები,

რომელთაც ვერავინ

გააბათილებს. გაასაჯაროონ

და მერე უნდათ სახალხოდ

დაკითხონ, და უნდათ – ჩუმად.

რომ გაიგებდნენ, როგორ დააკავეს მათი მწმამებლები, როგორ მიმდინარეობს გამოძიება, რომ ვიღაცებს თავიანთ ნამოქმედარზე პასუხი მოეთხოვათ... თუმცა გამოვიდნენ და დახვდათ გაპარტახებული ოჯახები, სამსახურისა და შემოსავლის პერსპექტივის გარეშე არიან... ამ დროს ხედავენ, რომ წამების ფაქტების გამოსაძიებლად არაფერი კეთდება...

პროკურატურა ამბობს, რომ გამოძიება მიმდინარეობს...

ეს ისეთი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, რომ ყოველკვირა დეტალურ ანგარიშს უნდა ვისმენდეთ. რისთვის გვჭირდება სახელმწიფო?

როდესაც ძალადობის მსხვერპლი ვხდები, უნდა დამიცვას, და თუ ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენებ, რომ თავის დაცვა თვითონ მომიხდება, ეს ძალიან სწრაფად გადაიზრდება ბარბაროსობაში. ახლა ძალიან ცუდ პროგნოზს ვაკეთებ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ანგარიშსწორება დღისით-მზისით კი არ მოხდება, არამედ ერთმანეთს ჩაუსაფრდებიან და მერე ნახეთ უბედურება. მერე ღარიბაშვილმა ქუჩებში ღამეებიც რომ ათენოს, პრობლემას ველარ უშველის.

თუ საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენის განცდა არ შეექმნება, თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან და ხელისუფლება პოლიტიკანური ქმედებებს განაგრძობს, მაშინ ადამიანები თვითონ დაიწყებენ სამართლიანობის აღდგენას და ეს ძალიან საშიში იქნება.

უფრო ზოგადად, როგორ შეაფასებთ ხელისუფლების 100 დღეს ადამიანის უფლებების კუთხით? რა არის ყველაზე დიდი შეცდომა, რომელსაც ამ თვალსაზრისით ახალი ხელისუფლება უშვებს?

მთავარი ესაა. ფერხდება დანაშაულის გამოძიება, მე მესმის, რომ არჩილ კბილაშვილს ძალიან უჭირს - ეს ბუნებრივია. მას თავის მოზღვავებული სამუშაო დაატყდა. ბოლომდე ვერ განმინდა პროკურატურა. ყოველდღე მესმის ამა თუ იმ დაზარალებულისგან, რომ პროკურორი, რომელმაც უკანონობა ჩაიდინა და უამრავი უბედურება მოუტანა არათუ დასაჯეს, არამედ დაანინაურეს კიდევ. იმასაც არ ვხედავ, რომ კბილაშვილი კარგი იურისტი და ასევე ძალიან კარგი ადვოკატი იყო, მაგრამ ავტომატურად კარგი პროკურორი ვერ გახდებოდა.

არავის არ უნდა აღიაროს, რომ რალაცებს კარგად ვერ აკეთებს, ასეთი მამსტაბის სამუშაოს ვერ აუღის, არ ჰყავს საკმარისი კადრები, არ ეძებს გამოსავალს და ადამიანებს, რომელთაც რჩევის მიცემა შეუძლიათ.

რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ გახმაურებული დაკი-

თხვები და დაკავებები პოლიტიკურ ზენოლად არ აღიქმებოდეს?

მე ყოველთვის ვაკრიტიკებდი იმ მანკიერ პრაქტიკას, როდესაც იჭერდენ ადამიანებს და მტკიცებულებების შესაგროვებლად მერე დარბოდნენ. ჯერ შეაგროვონ უტყუარი მტკიცებულებები, რომელთაც ვერავინ გააბათილებს. გაასაჯაროონ და მერე უნდათ სახალხოდ დაკითხონ, და უნდათ – ჩუმად.

როდესაც ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით პირველი მტკიცებულებები გამოქვეყნდა, სრული ფიასკო იყო. საზოგადოება სერიოზულ დეპრესიაში ჩავარდა. მხოლოდ ესაა მტკიცებულებები? პროკურატურას პრობლემები ობიექტურად აქვს. როცა გამოძიება ათი წელი არ გინარმოება, უცბად ვერ გახდები შერლოკ ჰოლმსი.

ამ ქვეყანას ძალიან კარგი, პროფესიონალი გამომძიებლები და პროკურორები ჰყავდა. ისინი ახლა ალბათ პენსიაზე არიან. მოიწვიონ, ჰკითხონ, დანერგონ ეს პრაქტიკა. ნუ შეეშინდებათ იმის აღიარების, რომ გამოძიებას თავს ვერ აბამენ.

რამდენად კანონიერია რეგიონებში, თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესები?

სრულიად უკანონოა. საკრებულოებზე თავდასხმები და გამგებლების მასიური გამოცვლა - არასწორია. ეს პროცესი თავის ნებაზე ხელისუფლებამ მიუშვა. ლანჩხუთში თვითონ შევესწარი დაძაბულ სიტუაციას, სადაც პოლიცია საერთოდ არ ჩანდა. მე გავაფრთხილე საკრებულოს წინ შეკრებილი მოქალაქეები, რომ თუ ისინი ძალით შევარდებოდნენ შენობაში, მათ დაიჭერდნენ და სრულიად კანონიერად, საბედნიეროდ, იქ ეს პროცესი შეჩერდა. ასეთი პრევენციული ღონისძიება ადგილობრივმა პოლიციის უფროსმა უნდა განახორციელოს. მივიდეს ადამიანებთან და გააფრთხილოს.

ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ პოლიცია ისევ პოლიტიზებულია?

არ მუშაობს კვალიფიციურად.

იუსტიციის მინისტრმა განაცხადა რომ აპირებს სერიოზულად მიხედოს სტრასბურგში გაგზავნილ საქმეებს და ისინი უკან გამოითხოვოს, ამ საკითხთან დაკავშირებით რა ინფორმაციას ფლობთ? როგორ მიმდინარეობს პროცესი?

ეს მეც მაინტერესებს, იმიტომ, რომ ჩვენ მიერ სტრასბურგში გაგზავნილ 80 საქმეს ეს პროცესი არ შეეხება. ჩვენ მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს, ჩამოვუთვალეთ ჩვენი საქმეები და ვიკითხეთ, თუ რითი შეგვეძლო დახმარება. პასუხი დღემდე არ მიგვიღია. და თუ ჩვენ ვერ ვიღებთ პასუხს, რიგითი მიქალაქეები მით უფრო ძნელად მიიღებენ.


როგორია ხელისუფლების პოლიტიკური რელიგიური უმცირესობებთან დაკავშირებით? მაგალითად ნიგვზიანში განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ შევფასებთ...

ეს არის გაუმართლებელი პოლიტიკა. ნიგვზიანის ეპიზოდში გარკვევა თვითონ ვცადე. იქაურ მოსახლეობას ძალიან კარგად ვიცნობ. მუსლიმი ეკომიგრანტები ოც წელზე მეტია ცხოვრობენ და გურულებს მათთან შესანიშნავი, კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვთ. ეს ინციდენტი ინსპირირებული იყო. ადგილობრივები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებზე უთითებდნენ, რომ წინასაარჩევნოდ, მართლმადიდებლებს მუსლიმებისთვის „მათი ადგილის მიჩენას“ ჰპირდებოდნენ, მეორე მხრივ, მუსლიმებს მეჩეთის თუ ჯამის აშენების პირობას აძლევდნენ. პოლიტიკური მიზნებისთვის ადამიანთა რელიგიურ, ემოციურ დამოკიდებულებებს იყენებდნენ. როცა დაპირებები არ შესრულდა, ამან ბუნებრივი დაპირისპირება გამოიწვია და ქაოსურ ძალადობაში გადაიზარდა.

ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია უმცირესობის უფლება დაიცვას, თორემ უმრავლესობას დაცვა არ სჭირდება.

იგივე მინდა გკითხოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებით, რაიმე ისეთ ქმედით

ნაბიჯებს თუ დგამს ხელისუფლება, რაც ამ ადამიანებს ცხოვრებას შეუშლისუბუქებს?

მხოლოდ იმას ვხედავ, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე საკმაოდ კარგი რეკლამები გაჩნდა, მისასალმებელი იქნება, თუ ამით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა დაიწყება. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ მე პირადად სტრასბურგის სასამართლოში ჩემი კლასელის, ძალიან ახლობელი ადამიანის საქმე მაქვს გასაჩივრებული. ევროპულ სასამართლოში საქმე სწრაფად განიხილეს, რადგან პრობლემები ზედაპირზე ჩანდა. მომჩივანი წლების წინ გამცილებელმა მატარებელს ჩაუგდო და მან ორივე კიდური დაკარგა. თუ როგორ მოექცა მას სახელმწიფო, იმის ნათელი მაგალითია, როგორი დაუცველი ამ ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი. რას აკეთებს მისთვის სახელმწიფო? – არაფერს. ევროპულმა სასამართლომ განიხილა ერთ წელიწადში კი დაასრულა და გადაწყვეტილების გამოსატანად გავიდა, მაგრამ მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა და გადაწყვეტილებას ველოდებით. ორი წლის წინ სტრასბურგში ვიყავი და იურისტებს შევხვდი, მათ განმიმარტეს, რომ სასამართლოს წინაშე უაღრესად კომპლექსური საკითხი დავსვი. გადაწყვეტილების გამოტანა ამიტომ ჭირს და უკვე 4 წელია, პალატა ვერ თანხმდება. აი, სწორედ ასეთ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, რომ იუსტიციის სამინისტრომ მორიგება შესთავაზოს ადამიანს, რომელსაც 6 წლის წინ სჭირდებოდა გადაუდებელი ოპერაცია. 6 წლის წინ ჰქონდა უკიდურესი მდგომარეობა. იყო ძალიან ლარიბი. ეს დრო გადის და მე არ ვიცი, რა წარმატებულ მორიგებებზეა საუბარი, თუ კი ამ საქმეზე არავითარი წინადადება არ მიგვიღია. ამ ადამიანის ყოფას ისიც დაერთო, რომ მისი მეგობარი, რომელიც მისი მარჯვენა ხელი იყო და ყოველმხრივ ეხმარებოდა, გუშინ დავასაფლავეთ... თუკი სახელმწიფო ასეთი ადამიანების დახმარებაზეა ორიენტირებული, რატომ ვერ ვხედავ ამას? 

ესაუბრა ზურაბ ვარდიანიშვილი

იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველაზე!

იპითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იპითხოთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდობა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

კალიკანის გადმოხანებად, თქვენი მონეტარილოგიდან iTunes-ზე მოძიებით „IOTA READER“



მინათოქმედების იაფფასიანი სამოთხა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2012 წლის გადაწყვეტილებით, უცხოელ ფიზიკურ პირს საკუთრების შექმნის უფლება საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელი ყველა საშუალებით მიენიჭა. ამ ცვლილების შემდეგ, უცხოელ ინვესტორთა რაოდენობა ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა. დღეისთვის ქალაქ წნორში ინდოეთიდან ჩამოსულ არაერთ ფერმერს შეხვდებით, რომლებმაც სასოფლო-სამეურნეო მიწა ადგილობრივი მოსახლეობისგან საკმაოდ იაფად შეიძიეს და მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ნაკვეთები თითქმის მთლიანად აითვისეს.

გიორგი ჭეიშვილი



ფოტო სკოფი აფაიაური

წნორელების თქმით, ერთ-ერთი ინდოელი შექმნილ მიწაზე სასტუმროს აშენებას აპირებს. შუქიკ ამიტომაც გადმოყვანილი.

წნორისაკენ მიმავალ გზაზე ხელით მოხატული ტაქსის ტრაფარეტით „გაფორმებული“ „ვაზ-24“ ჩერდება, მგზავრს ისვამს და გზას აგრძელებს. მძლოლი კლიენტების ნაკლებობას უჩივის და უფულობით შეწუხებული, სიჩქარის გადამრთველს აქეთ-იქით გამეჭვებით ატრიალებს.

„ინდოელებზე წერ სტატეიას?! ჩვენ ვიკითხოთ, თორემ ეგენი კარგად გრძნობენ აქ თავს. სავსეა მთელი წნორი

ინდოელებით. ამბობენ, თებერვლის ბოლოს ჩვენს რაიონში კიდევ 600 კაცი ჩამოდისო. ყიდულობენ და ყიდულობენ მიწებს, ალაზნის პირი ჰქონიათ აღებუ-ლი და ამას წინათ ბიჭები სათევზაოდ არ გადაატარეს. ერთი განახა, რა ტე-ქნიკა აქვთ ჩამოტანილი, ტრაქტორი ისე დადის, ხმა არა აქვს“, – გვიყვება გაკვირვებული ტაქსის მძლოლი.

წნორის ცენტრში ხალხი ირევა, – „ინდოელებს ეძებთ? ეგე, ზემოთ აქვთ



ბირჟა, ნოტარიუსის შენობასთან“, – გვიხსნიან ადგილობრივები.

ნოტარიუსის ოფისთან ხალხმრავლობაა, რამდენიმე ინდოელთან ერთად ფურცლებით ხელში ერთი ქართველი დგას – „ნაკვეთს ვყიდი, მაგრამ დოკუმენტების გაფორმება არ დაგვიმთავრებია, ახლა თქვენი თავი არ მაქვს, შვილო“, – მოგვმართავს, უცხოელების მანქანაში ჯდება და მიდის.

შენობიდან კიდევ ერთი ინდოელი გა-

მოდის. მანინდარ ცინკ ჰირი, ან უბრალოდ – „ჰეფი“, როგორც მას მეგობრები მიმართავენ. დაახლოებით 40 წლის მანინდარი საქართველოში 2012 წლის 30 ნოემბერს ჩამოვიდა, ბიზნესმენია, წნორში სასოფლო-სამეურნეო მიწებს ყიდულობს.

შალვა სიხაშვილის ქუჩაზე „ჰეფის“ ორსართულიანი სახლი აქვს ნაქირავები, თვეში 350 ლარს იხდის. ინდური ჩაით გვიმასპინძლებს, მერე ეზოში გადის და მორჩენილ ნახარშს ვაზს უსხამს, ამბობს, სასარგებლოა.

მანინდარი ჰყვება, რომ საქართველოს შესახებ სამთავრობო საიტ – <http://www.investingorgia.org>-ის მეშვეობით შეიტყო და წნორში ჩამოსვლის შემდეგ ადგილობრივებისგან 21 ჰექტარი მიწის ნაკვეთი შეიძინა.

ჰეფი ამბობს, რომ საქართველოში მიწის ფასები სხვა ქვეყნების ადეკვატურია, რადგან თითო ჰექტარში 1000-დან 2000 აშშ დოლარამდე თანხა გადაიხდა – „საქართველოში უმეტესად კომპანიები აბანდებენ ფულს. თუმცა, არ მსმენია, რომ ინდური საინვესტიციო კომპანიები კლიენტებს საქართველოში მიწის შესყიდვას სთავაზობდნენ. ჩემმა ფირმამ ამ პროექტში მცირე თანხა ჩადო – ხორბლის, მზესუმზირის, ბოსტნეულის, სიმინდის მოყვანას ვაპირებთ, რასაც შემდგომ სხვა ქვეყნებში ექსპორტზე გავიტანთ; გადასახადების გადახდისა და ხარჯების დაფარვის შემდეგ მოგება თუ დაგვრჩება, ამ ბიზნესში უფრო მეტ თანხას დავაბანდებთ“.

მასპინძელი გვიხსნის, რომ საქართველოს მსგავსად, სხვადასხვა დროს ინდოელები ამერიკაში და ინგლისშიც წავიდნენ, სადაც ისინი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავდნენ და იმ ქვეყნებისთვისაც მოგება მოაქვთ.

„როგორც ვიცი, საქართველოში ინდოელების პირველი ნაკადი წელიწადნახევრის წინ ჩამოვიდა. დღეისათვის აქ დაახლოებით 200 ინდოელია, მათ ნაწილს მიწა იჯარით აქვს აღებული, ნაწილმა იყიდა, ზოგიც ჯერ კიდევ ეძებს. სამშობლოში მალე ვბრუნდები, მარტში ან აპრილში უკან ჩამოვალ. სამუშაოების დაწყებამდე ადგილო-

ბრივი მუშახელი უნდა დავიქირავო. რამდენიმე ქალს ვესაუბრე და მათი კონტაქტები ჩავინერე. დღეში 20 ლარი მთხოვეს, ეს ძვირია, ინდოეთში მსგავს სამუშაოში დღეში დაახლოებით 10 ლარს ვიხდი, თუმცა, მგონი შევთანხმდებით. ხალხი დასაქმდება, ეს მათთვისაც მომგებიანი იქნება და ჩემთვისაც“, – ამბობს ჰეფი.

მანინდარ ცინკ ჰირი ინფრასტრუქტურულ პრობლემებზეც საუბრობს. როგორც ის ამბობს, ნაკვეთებამდე მისასვლელი გზები მოუწესრიგებელია, თუკი შეაკეთებენ, ქართველი და ინდოელი ფერმერები ისარგებლებენ, გადასახადების სახით კი, სახელმწიფოც მოგებას ნახავს.

„აქ ისეთი ადამიანებიც მხვდებიან, რომლებსაც არ მოეწონვართ, არ გველაპარაკებიან, ზოგიერთი კი პირიქით, ჩვენ მიმართ მეგობრულად არის განწყობილი – მიწის მოძებნაში, დოკუმენტების გაფორმებასა და ასეთ საკითხებში გვეხმარებიან. ჩვენსა და თქვენს კულტურას შორის ბევრი მსგავსებაა. ჩვენც თქვენსავით სტუმართმოყვარეები ვართ და ეს ძალიან კარგია. ქართველებმა ინდური ფილმები და სიმღერები იციან, ხშირად მღერიან, როცა მხედავენ. საკვებიც ძალიან მომწონს, ჯანმრთელი პროდუქტი გაქვთ, განსაკუთრებით ხაჭაპური მიყვარს. ღვინოც მომწონს, მაგრამ ცოტა, ბევრს არ ვსვამ. თითებზე ვერ დაითვლი აქ ღვინის იმდენი სახეობაა. ქართველი მეგობრები ხშირად მიმორებენ, ცოლ-შვილიც ჩამოიყვანეო, მაგრამ არც წნორში და არც თბილისში კარგი სკოლები არ არის. ვნახოთ როგორ წავა ბიზნესის საქმე, შეიძლება მომდევნო წელს ოჯახიც ჩამოიყვანო“, – გვემშვიდობება ჰეფი.

მასპინძლის ეზოდან გამოსულებს მიპირდაპირე სახლის კედელს მოფარებული სკოლის მოსწავლე გვხვდება, ხელში თონის პური უჭირავს და მეზობლის კიბებისკენ აპარებს თვალს – „სამი ბიჭი ცხოვრობს აქ, სამივე ინდოელები, სურათები უნდა გადაუღოთ?“ – გვეკითხება და გზას ისე აგრძელებს, ცდილობს უცხოელების არც ერთი „ნაბიჯი“ არ გამოეპაროს.

წნორის ცენტრში დაბრუნებულებს ნოტარიუსის ოფისთან კიდევ ორი ინდოელი გვხვდება. საქართველოში 2012 წლის ივლისში ჩამოვიდნენ, იაფი ნაკვეთების შესახებ ინტერნეტით გაიგეს და კახეთში 72 ჰექტარი მიწა შეიძინეს. ამ ტერიტორიაზე მათი კომპანია სიმინდის დათესვას გეგმავს, მონეული პროდუქტი კი საქართველოში გაიყიდება – „მე-ქანიზაციის ცენტრებიდან ტრაქტორები და საჭირო ტექნიკა შევიძინეთ, მიწებზე ქართველებს დავასაქმებთ, მათ დაქირავებას მომდევნო კვირაში ვგეგმავთ“, – ამბობენ ინდოელი ფერმერები.

როგორც წნორელები გვეუბნებიან, კახეთში ინდოელების მასიური შემოდინება 2012 წლის ივნისიდან დაიწყო, მთავარი მიზეზი კი ალაზნის ველის მარჯვენა სანაპიროზე მიწის იაფად ყიდვის შესაძლებლობაა – „აქ ნაკვეთები ბევრად უფრო იაფია, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე თითქმის ორჯერ ძვირი ღირს, იქ სიმინდი უფრო კარგად მოდის. აქაურობას რომ მორჩებიან, გაღმა მხარესაც აითვისებენ, როცა მიწის ფასს გავიგებთ, ქართველ კაცს მიწა აღარ ექნება“, – სინანულით ამბობენ ადგილობრივები.

ქალაქის მკვიდრი, გივი მატინოვი იხსენებს, რომ შარშან ამ დროს წნორში სულ 4 ინდოელი ცხოვრობდა, ახლა კი მათი რიცხვი დაახლოებით 400-ს აღწევს, ადგილობრივების მიერ მიწების იაფად გაყიდვის მიზეზად კი, გაჭირვებასა და ბანკის ვალებს ასახელებს.

„ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლამდე ლიტრი სანავაი 50 თეთრი ღირდა, შემდეგ კი გაძვირდა და გაძვირდა, სასუქზეც მოიმატა ფასმა. გლეხის რის გლეხია? გააგრძელა თესვა, ზოგმა ქონება გაყიდა, ზოგმა ოქროსულობა, ნაწილი ბანკის ვალი აიღო. იმედი ჰქონდათ, რომ გაზაფხულზე მოსავალს აიღებდნენ, მაგრამ ამ ხალხს არ გაუმართლა და ნავარაუდებ მოსავალზე ნაკლები აიღო. გაიჭედნენ, ვალებში გადავარდნენ. ზოგი იმასაც ამბობს, ღმერთმა გაახაროს ინდოელები, რომ შემოვიდნენ, ეგენი რომ არა, ბანკები სახლებიდან გამოგვყრიდნენო. იძულებული გახდნენ ნაკვეთები გაეყიდათ.

მიწებზე ასეთი ფასი მსოფლიოში არსად არ არის. გლეხი 1000 დოლარად რომ გაყიდის ნაკვეთს, მერე იმ ფულს ბანკში გადაიხდის და თავს დაიძვრენს, თუ ერთი-ორი კაპიკი დარჩა, იმით რა უნდა ქნას? როგორ უნდა იარსებოს? ადგება და იმ ინდოელთან თავის ყოფილ მიწაზე იმუშავებს. გაზაფხული მოდის და საუბარია, რომ ინდოელთა დინება კიდევ წამოვა აქეთ“, – ამბობს გივი მატინოვი.

საქართველოში არსებული იაფი მიწების შესახებ 2013 წლის 6 იანვარს, გამოცემა <http://www.thehindu.com> – მატია – „ტარან ტარანიდან თბილისში, მიწათმოქმედების სამოთხის ძიებაში“ – გამოაქვეყნა.

სტატიის ავტორის ერთ-ერთი რესპონდენტი, სათვინდერ სინგჰი ამბობს, რომ მან და მეზობელი სოფლებიდან ჩამოსულმა ფერმერებმა კახეთში 200 აკრი მიწის ნაკვეთი შეიძინეს, რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად კი ფული ერთობლივად დააბანდეს – „ამ ეტაპზე საქართველოში მიწა იაფია და სამშობლოში რამდენიმე აკრის გაყიდვით, აქ ფერმერებს ჰქვტრობით მიწის შექცენა შეუძლიათ.“

პუბლიკაციის ავტორის განცხადებით, ინდოელმა ფერმერებმა საქართველოში წელს პირველად დათესეს მარცვლეული, უმეტესად სიმინდი, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი რიცხვი საქართველოში 2000-ს აღწევს. მიწათმოქმედების გარდა, ნაკვეთებით სარგებლობენ ინვესტორები, რომლებიც თანხას იაფი მიწის ძვირად გადაყიდვით შოულობენ.

ამ სტატიის გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, 7 იანვარს, საქართველოში დაწყებულ ინდურ მიგრაციას პუბლიკაცია ბრიტანულმა გამოცემა „გარდიანმა“ მიუძღვნა.

სტატიის ავტორი ჯეისონ ბურკი აღნიშნავს, რომ პუბლიკაციის ერთ-ერთი გამორისა და მისი კოლეგების გარდა, საქართველოში სხვა ინდოელი ფერმერებიც ჩადიან, მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება, ინდოეთის მთავარ ქალაქებში კი აგენტები მიწებისა და საქართველოში ბიზნესის წარმოების რეკლამირებას ეწევიან.

საქართველოში არსებულ სასოფლო-სამეურნო მიწებს კომპანიები და ცალკეული პირები კლიენტებს სხვადასხვა ფასად ვებ-გვერდების (<http://chandigarh.indialist.com>, <http://real-estate.vivastreet.co.in>, <http://www.clickindia.com>, <http://www.alibaba.com> ...) მეშვეობითაც სთავაზობენ.

ერთ-ერთ განცხადებაში, ინდოელი აგენტი ფერმერებს საქართველოში ათასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთს სთავაზობს, თითო ჰექტარს კი, მათი მდებარეობის მიხედვით, 2500-დან 3000; სოფლებთან ახლომდებარე მიწებს კი 3500-დან 4500-მდე აშშ დოლარს აფასებს.

ამავე განცხადების მიხედვით, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ კომპანია კლიენტებს კონსულტაციას, ვიზიტა და საცხოვრებელი უზრუნველყოფასაც სთავაზობს. აქვე კომპანიებისა თუ მათი წარმომადგენლების საკონტაქტო ინფორმაციაა მითითებული – როგორც ინდოეთში, ასევე – საქართველოში.

მსგავსი შინაარსის არაერთი განცხადება ვიდეო-პორტალ იუთუბზეც შეგვხვდა, სადაც აგენტები პოტენციურ კლიენტებს იაფ მიწებს სთავაზობენ და ბიზნესის დასაწყებად საქართველოში ჩამოსვლას ურჩევენ.

„შეიძინეთ მიწა, ერთი აკრი – 800 დოლარი, დარეკეთ + 995 ... Georgia; India+91 97...“.

ეს 9-ნუთიანი ვიდეომიმართვა 20 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა. კომენტარების ავტორთა უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო მიწის შექცენითა და ინტერესებული, ნაწილი ვიდეოს ავტორს ტელეფონის ნომერს სთხოვს, ზოგიერთს კი ნაკვეთების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია აინტერესებს.

ერთ-ერთი კომენტარის ავტორი, ამერიკელი სინგჰი ჰყვება, რომ კახეთის რეგიონში 7 ჰექტარი მიწა შეიძინა, თუმცა ადგილობრივმა მოსახლეებმა ნაკვეთის გამოყენების უფლება არ მისცეს – „მიტხრეს, რომ ეს მათი მიწაა და აქ უცხოელებს არ შემოუშვებენ. ადგილობრივები დაეჭირავე და ჩემი ნაკვეთი

შემოვლობე, თუმცა მეორე დღეს ღობე მონგრეული დამხვდა. მოსახლეობის ნაწილი ჩემი ცემითაც კი დაიღალა. პოლიციას მივმართე, მათ კი მითხრეს, რომ მომხდარის პროვოცირება ჩემი ბრალი იყო. მეორე დღეს ადვოკატი დავიქირავე, რის შემდეგაც პოლიცია მომხდართი დაინტერესდა, თუმცა დასკვნაში ჩანერეს, რომ ღობე ადამიანთა იმ გაურკვეველმა ჯგუფმა მოშალა, რომლებიც საქართველოს დატოვებს მაიძულებდნენ“, – წერს იუთუბზე სინგჰი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებაში ფლობის საკითხებს საქართველოს კანონი განსაზღვრავს. კანონის წინა რედაქციისაგან განსხვავებით, ახალ რედაქციაში წერია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება (საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება N3/1/512. 26.06.2012) უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებსაც აქვთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლის, ქეთი კრანაშვილის განმარტებით, აღნიშნული კანონის დღეს მოქმედი რედაქციის მეოთხე მუხლის პირველი ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512-ის გადაწყვეტილებასთან ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ.

„აღნიშნულ მუხლში შეიცვალა და დადგინდა შემდეგი პრინციპი: უცხოელ ფიზიკურ პირს მიენიჭა უფლება საკუთრება საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელი ყველა საშუალებით შეიძინოს, მაგ: ნასყიდობით, ჩუქებით, გაცვლით და ასე შემდეგ. კანონის მანამდე მოქმედ რედაქციაში, უცხოელს შეეძლო საკუთრება შეეძინა მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების გზით, ასევე, იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლობიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე“, – განმარტავს „საიას“ იურისტი.

წნორის საჯარო რეესტრის შენობაში კიდევ ორ ინდოელს ვხვდებით. გურპიარ სინ ოლოკი მეორე წელია,



ფოტო სურფო ავთოიანი

საქართველოში ცხოვრობს. ამ დროის განმავლობაში სამშობლოში არ დაბრუნებულა, თუმცა იცის, რომ ინდოეთში კომპანიები ფერმერებს საქართველოში წასვლას და მიწების იაფად ყიდვას სთავაზობენ.

გურპიარს თბილისში საკუთარი ბიზნესი აქვს, თუმცა სასოფლო-სამეურნეო მიწებს არ ფლობს – „წინა წელს ბევრმა ინდოელმა იყიდა აქ მიწა, მათ ნათესავებსა და ნაცნობებს გააგებინეს, რომ საქართველოში კარგი ნაკვეთები იაფად იყიდებოდა, ამიტომაც ინდოელები თქვენი ქვეყნით დაინტერესდნენ. ჩემმა ნათესავებმა წნორში ნაკვეთები შეიძინეს. ზოგმა – 50 ჰექტარი, ზოგმაც – 67. სიმინდი მოჰყავთ და მე დოკუმენტების გაფორმებაში ვეხმარები. საკუთარი პასპორტით მიწის ყიდვა არ შემიძლია, თუმცა შ.პ.ს.-ს გახსნის შემდეგ ქონების საკუთრებაში ფლობის უფლება მაქვს“, – ამბობს გურპიარ სინ ოლოკი.

ინდოელი მამაკაცების სიმრავლის მიუხედავად, წნორში ინდოელ ქალს იშვიათად შეხვდებით. მაგრამ არის გა-მონაკლისებიც. წნორში, ნანა ნარინ-

ადგილობრივ ნოტარიუსთან უკვე ინდოელებიც იკრიბებიან, რომელიც მათ მიწების შექენისათვის საჭირო დოკუმენტების გაფორმებაში ეხმარება.

■ საქართველოში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს კომპანიები და ცალკეული პირები კლიენტებს სხვადასხვა ფასად ვებ-გვერდების მეშვეობითაც სთავაზობენ. ერთ-ერთ განცხადებაში, ინდოელი აგენტი ფერმერებს საქართველოში ათასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთს სთავაზობს, თითო ჰექტარს კი, მათი მდებარეობის მიხედვით, 2500-დან 3000; სოფლებთან ახლომდებარე მიწებს კი 3500-დან 4500-მდე აშშ დოლარს აფასებს.



ფოტო სოფო აფანიანი

ინდოელები ძირითადად ალაზნის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწებს ყიდულობენ, რადგან არსებული ნაკვეთების ფასი დაბალია.

■ „უცხოელ ფიზიკურ პირს მიენიჭა უფლება საკუთრება საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელი ყველა საშუალებით შეიძინოს, მაგ: ნასყიდობით, ჩუქებით, გაცვლით და ასე შემდეგ. კანონის მანამდე მოქმედ რედაქციაში, უცხოელს შეეძლო საკუთრება შეეძინა მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების გზით, ასევე, იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლობიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე“

დომვილის მეზობლად უცხოელები სექტემბერში დასახლდნენ.

„ამ სახლში დედ-მამა, მათი ოთხი შვილი, ორი რძალი და ერთი შვილიშვილი ცხოვრობენ. ურთიერთობა თითქმის არ გვაქვს, ქართულად ვერ ლაპარაკობენ, არც რუსული იციან და არც ინგლისური, ამათი მეზობლობა ის არის, რომ დილაობით ხელს გვინევენ, ერთი გამარჯობა ისწავლეს და სულ ესაა. ეს სახლი ნაყიდი აქვთ, თუმცა შეიძინეს თუ არა ნაკვეთები, ეგ არ ვიცი. ამბობენ, მთელი ალაზნის ველი – რაც აქეთ არის და შირაქი, სულ ნაყიდი აქვთო. ინდოელებისგან ვიცი, რომ მიწა აქ უფრო იაფია, ვიდრე მათ ქვეყანაში. ხალხი უფულობის გამო მიწას ვერ ამუშავებს, ადგენენ და ჰექტრობით ნაკვეთები დაჰყიდეს, ბოლოს რა მოგველის არავინ იცის“, – ნუხს ნანა ნარინდომვილი.

მიწის ფლობის, მისი განკარგვის და საკუთრების საკითხებს ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი სოსო არჩვაძე სხვადასხვა ეპოქაში ქვეყნის პოლიტიკური ეკონომიკური კურსის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევს, რადგან ამ საკითხს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, დემოგრაფიული პროცესები და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება უკავშირდება – „საუბარი იმაზე, რომ მიწას თან არავინ ნაიღებს, ერთგვარი გულუბრყვილობაა.

მიწაზე მესაკუთრის შეცვლამ არსებითად შეიძლება შეცვალოს დემოგრაფიული სურათი, ჩვენ გვახსოვს თუ როგორ განვითარდა ეს პროცესი მესხეთში. ასეთ პირობებში, სახელმწიფომ უფრო მეტი პროტექციონისტული პოლიტიკა უნდა გაატაროს. გვჭირდება ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც მეტად შეუწყობს ხელს მკვიდრი მოსახლეობის ახნარმოების გაუმჯობესებას, ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ყველაზე მეტად კომფორტული ავტოქტონური მოსახლეობისათვის იქნება. დღეს უცხოელებზე უფლებები იოლად გაიცემა, ხოლო მოვალეობები, რაც მათ ქართული სახელმწიფოს წინაშე უნდა გააჩნდეთ, პრაქტიკულად ნიველირებულია“.

სოსო არჩვაძის განცხადებით, 1999 წლიდან საქართველოში უძრავი ქონების ელემენტების კაპიტალიზაცია დაახლოებით 5-6 ჯერ გაიზარდა, თუმცა დღეისთვის საქართველოში უძრავი ქონების ელემენტებზე უფრო დაბალი ფასებია, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე.

„სტატისტიკის სამსახური დანერვილებით არ აქვეყნებს ინფორმაციას, მაგრამ იქაც ჩანს, რომ ბოლო მონაცემებით უძრავი ქონების ელემენტებში უცხოური ინვესტიციების მოცულობა დაახლოებით 10-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სოფლის მეურნეობაში ჩადებული ინვესტიციები. მიწას ყიდულობენ როგორც საკუთრების, და არა როგორც მეურნეობის ობიექტს. საქართველოში სოფლად შრომის მწარმოებლობა დაბალია, ეს უკავშირდება ძირითადი კაპიტალის ელემენტების, მათ შორის მიწის დაბალ ფასს, რაც იმ პირებს, რომელთა უკანაც მსხვილი კაპიტალი დგას, საშუალებას აძლევს სწარაფად გაზარდონ შრომის მწარმოებლობა და გაცილებით მეტი მოსავალი და შედეგი მიიღონ. სახელმწიფოს შეუძლია დაეხმაროს მოსახლეობას, ერთი მხრივ, მილიარდიანი ფონდით, სოფლად კოოპერატივების ჩამოყალიბებით – ეს შრომის ორგანიზაციის მიღებული ფორმაა, როდესაც ერთობლივი ძალისხმევით გაცილებით მეტი ეფექტი მიიღება, ვიდრე ცალკე-ცალკე საქმიანობით. მესამე გზა კი

– სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანებისათვის ცოდნის მიცემა, გამოცდილების გაზიარება, — ტექნიკის და ტექნოლოგიების მართვის უნარების გამომუშავება და ახალი ტექნიკის მიწოდება. ეს ადგილობრივებს დაეხმარებათ, რომ კონკურენცია გაუწიონ უცხოელ ინვესტორებს“, – აღნიშნავს სოსო არჩვაძე.

ქალაქ წნორის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის, თამაზ მათეშვილის განცხადებით, ტერიტორიულ ორგანოს მიწების ყიდვა-გაყიდვასთან არანაირი კავშირი არ აქვს, თუმცა, მათ აღნიშნული ცნობები სჭირდებათ, რადგან სოფლის მეურნეობის სამინისტრო ტერიტორიული ორგანოსაგან დათესილი მარცვლეულის, ბოსტნეულისა თუ სხვა პროდუქტების შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას ითხოვს.

„ყიდი – გაყიდი, მყიდველი ხარ – იყიდე, მაგრამ, მე ხომ უნდა ვიცოდე

ვინ არიან მყიდველები, ვის დაუკავშირდე, ვის მოვთხოვო ოფიციალური მონაცემები?! თავად ხომ არ მოვივლი მინდვრებს? ეს ფიზიკურად შეუძლებელია. რა მოხდება, რომ მიწის მფლობელთა შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრმა მომანოდოს? 2012 წლის 7 მაისს დავინიშნე ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად. მას შემდეგ ეს პრობლემა დგას, შიდა მოძიება, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, რეალურ სურათს არ გვაძლევს. მიწის ფლობასთან დაკავშირებით კანონში შესული შესწორების შესახებ ტერიტორიულმა ორგანოებმა არაფერი ვიცოდით. ქართველმა კაცმა პრივატიზებული მიწები გაყიდა. არადა ვამუშავებდით თავის დროზე, თუმცა მერე ყველაფერი გაძვირდა, მიწის დამუშავება უკვე არარენტაბელური გახდა, გაჭირვებული კაცი კი რას იზამს – პირველ რიგში მიწას გაყიდოს“, – ამბობს თამაზ მათეშვილი.

თბილისში დაბრუნებამდე, წნორის ცენტრში შეკრებილი ტაქსისტებიდან ერთ-ერთს ვუთანხმდებით, ის ტერიტორიები გვაჩვენოს, რომელიც ადგილობრივებმა უცხოელ ინვესტორებს ბოლო პერიოდში მიჰყიდეს. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნაკვეთებს მივუყვებით – „ინდოელები პატარა მიწებს არ ყიდულობენ, 30-40 ჰექტრით იღებენ ნაკვეთებს. აი, ამ ბოძებს ხომ ხედავთ? – გვანიშნებს საავტომობილო გზის გასძვრივ აღმართულ ელექტროენერჯის რამდენიმე ბოძზე – ამბობენ მანდ ერთ-ერთი ინდოელი სასტუმროს გახსნას აპირებსო, შუქიც ამიტომ გაუყვანიათ. ახლა ზამთარია და ეტყობა, წასულები არიან, თორემ შემოდგომაზე მრავლადაც იყვნენ და მიწებზეც გამოდიოდნენ, აგე გახედეთ“ – ხელით ალაზნის მარჯვენა მხარეს გვიჩვენებს – „თითო-ორილა მიწა თუ იქნება ახლა აქ ქართველისა“, გვიხსნის მძღოლი. 

RadioCommersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

აღთქმური ბაზრის ხაზთან

ქართული ღვინო და მინერალური წყალი რუსეთის სავაჭრო ქსელში, სავარაუდოდ, გვიან გაზაფხულზე გამოჩნდება. თუმცა, გარანტია, რომ ერთ დღეს ქართულ პროდუქციას რუსეთის ბაზრიდან ისევ არ გამოაძევენ, არ არსებობს.

მანანა ვარდიაშვილი



ფოტო: ლევან მორჩილაძე

რუსეთის ბაზარზე შესვლის სურვილი ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელმა თითქმის ყველა კომპანიამ გამოთქვა. სიაში, რომელიც ღვინის ეროვნულმა სააგენტომ „როსპოტრეზნადზორს“ გადაუგზავნა, ღვინის მწარმოებელი 80 და მინერალური წყლების 4 კომპანიაა. ქართული ღვინის მწარმოებელ მსხვილ და კარგად ცნობილ კომპანიებთან ერთად სიაში ისეთი კომპანიებიც დარეგისტრირდნენ, რომლებიც რუსულ ბაზარზე აქამდე წარმოდგენილნი არ ყოფილან. „ბორჯომთან“ ერთად რუ-

სულ ბაზარზე შესვლას მინერალური წყლების მწარმოებელი კიდევ 3 კომპანია: „ნაბელლაგი“, „საირმე“ და „სნო“ ელოდება. აღთქმულ ბაზარზე უარი არავინ თქვა!

რუსეთის ბაზარზე შესვლის მსურველი კომპანიების სია „როსპოტრეზნადზორს“ ქართულმა მხარემ 11 თებერვალს გადაუგზავნა. ახლა საქართველოში „როსპოტრეზნადზორის“ სპეციალისტთა სამ ჯგუფს ელოდებიან. ისინი ქართულ საწარმოებში არსებულ სანიტარულ ნორმებს ადგილზე შეისწავლიან. ინსპექტირე-

ბის შემდეგ ქართული კომპანიები რეგისტრაციას უკვე „როსპოტრეზნადზორში“ გაივლიან. მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავარ სანიტარულ სამსახურში რეგისტრირებული პროდუქციის შესახებ ინფორმაციას რუსეთის ყველა საბაჟო გამშვები პუნქტი მიიღებს, ქართული ნაწარმი რუსეთისკენ მიმავალ გზას ლეგალურად გაუყვება: ქართული ღვინო და მინერალური წყალი რუსეთის სავაჭრო ქსელში, სავარაუდოდ, გვიან გაზაფხულზე გამოჩნდება.

საქართველოში წარმოებულ პროდუქციას რუსეთში დასაბრუნებლად 6 წელზე მეტი დასჭირდა. საერთაშორისო ვალდებულებები და საქართველოსთან ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ პრობლემები რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მხოლოდ გასული წლის მინურულს გაახსენდა. 2012 წლის 20 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია თუ ითხოვს, ქართული ნაწარმი რუსეთში აუცილებლად დაბრუნდება: „დავინტერესდები ამ პრობლემით. ასეთი პრობლემა ალბათ, არსებობს და ის უნდა იყოს დეპოლიტიზებული,“ – აღნიშნა პუტინმა, – „საქართველომ მხარი დაუჭირა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) რუსეთის განევრინებას. უნდა ვნახოთ ვმო-ს წინაშე ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებები. თუ ჩვენ ეს გვევალება (ქართული ნაწარმის დაშვება რუსეთში – მ.ვ.), აუცილებლად გავაკეთებთ. უნდა ვიყოთ თანმიმდევრულები და საერთაშორისო ვალდებულებები აუცილებლად უნდა შევასრულოთ. ჩვენთვის ეს არ არის არსებითი. ქართული ეკონომიკისთვის შესაძლოა, ეს უფრო შესამჩნევი იყოს“.

რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებას რუსეთის ეკონომიკისთვის დიდი მნიშვნელობა რომ არ აქვს, ამ ფაქტის ხაზგასმას რუსულ მედიასთან საუბარში „როსპოტრეზნადზორის“ ხელმძღვანელი გენადი ონიშენკოც ცდილობს. „ეს შეიძლება მათთვის არის ძალიან საჭირო, მაგრამ ჩვენთვის ეს ყველაზე მთავარი საკითხი არ არის. ქართული ღვინო რუსული ბაზრის 4%-ს დაიკავებს. მაქსიმალური წილი, რაც მათ ღვინის ჩვენს ბაზარზე ჰქონდათ, 4% იყო. რა არის ჩვენთვის 4%?“, – აცხადებს ონიშენკო სააგენტო „ინტერფაქსთან“ საუბარში.

როგორც ჩანს, „როსპოტრეზნადზორის“ ხელმძღვანელს ზუსტი მონაცემები არ აქვს: მაქსიმალური წილი, რაც ქართულ ღვინოს რუ-


სეთის ბაზარზე ბოლო 12 წლის განმავლობაში ჰქონდა, 11,06% (2000 წ) იყო. 2005 წელს ქართულ ღვინოზე რუსეთის ბაზრის 9% მოდიოდა. ქართული ღვინის წილი რუსეთის ბაზარზე 3,1%-მდე მხოლოდ ემბარგოს გამოცხადების შემდეგ, 2006 წელს დაეცა. თუმცა, რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმი ერთი ნამდვილად მართალია – ქართული პროდუქციის ექსპორტს რუსეთის ეკონომიკისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

ის, რაც დიდი რუსეთის დიდი ეკონომიკისთვის უმნიშვნელოა, მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის. რუსეთის მხრიდან შემოღებულმა სანქციებმა ქართულ ეკონომიკაზე დიდი გავლენა მოახდინა, რადგან ღვინოს საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეულში პირველი ადგილი ეკავა და მისი 80 პროცენტი რუსეთში გადიოდა. მას შემდეგ, რაც 2006 წლის იანვარში რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშენკომ ქართული ღვინოში პესტიციდები „აღმოაჩინა“ და მასზე ემბარგო დააწესა, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სექტორული კრიზისი დაიწყო.

ოფიციალური ინფორმაციით, რუსული ემბარგოს შემდეგ ქართული ღვინის ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებზე გადამისამართდა. ამჟამად ქართული ღვინის ყველაზე დიდი საექსპორტო ქვეყნები უკრაინა, ყაზახეთი და ბელარუსია. თუმცა, ღვინის საექსპორტო ორიენტაციის შეცვლამ რუსული ბაზრის დაკარგვით გამოწვეული ზარალის სრული კომპენსირება ვერ მოახდინა. 2005 წელს, საქართველოდან ექსპორტზე 81.3 მილიონი აშშ დოლარის ღვინო გავიდა, გასულ წელს კი 64.8 მილიონი აშშ დოლარის. ანუ, ქართული ღვინის ექსპორტი ემბარგომდელ დონეს ჯერ კიდევ ვერ დაუბრუნდა.

რა მოლოდინი უკავშირდება რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნების პროცესს? 141 მილიონიანი ქვეყანა, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 14 000\$-ს აღემატება და სადაც ერთი ადამიანის მიერ წლიურად მოხმარებული ღვინის ოდენობა 3 ლიტრიდან (2000 წ.) 7,9 ლიტრამდე (2012წ.) იზრდება, მიმზიდველი ბაზარია ღვინის მწარმოებელი ნებისმიერი ქვეყნისა თუ კომპანიისთვის.

ექსპლანდინი პაუზის გამო რუსულ ბაზარზე ბევრი გამოწვევა დაგროვდა. ამჟამად ღვინის რუსულ ბაზარზე საფრანგეთი (22,4%), იტალია (14, 39%) და ესპანეთი (14,32%) ლიდერობენ.



■ მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავარ სანიტარულ სამსახურში რეგისტრირებული პროდუქციის შესახებ ინფორმაციას რუსეთის ყველა საბაჟო-გამშვები პუნქტი მიიღებს, ქართული ნაწარმი რუსეთისკენ მიმავალ გზას ლეგალურად გაუყვება: ქართული ღვინო და მინერალური წყალი რუსეთის სავაჭრო ქსელში, სავარაუდოდ, გვიან გაზაფხულზე გამოჩნდება.

ქართულ ღვინოზე ემბარგოს დაწესების შემდეგ, რუსეთში აფხაზური ღვინო გამოჩნდა და მან რუსული ბაზრის 1,3% აითვისა. ქართული ღვინის ნიშა აფხაზურ ღვინოსთან ერთად ჩილედან და კალიფორნიიდან შეტანილმა ღვინოებმა შეავსეს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი ამბობს, რომ რუსეთის ბაზარზე თავიდან დაბრუნება არ იქნება ადვილი, მაგრამ, ამ ბაზრის დიდი პოტენციალის გამო ძალისხმევის განევა ღირს. «ქართული ღვინის ნიშა შევსებული იმ ქვეყნების მიერ, რომლებსაც არ აქვთ მევენახეობა—მღვინეობის დიდი ტრადიცია და არც ამ ბაზრის ძლიერი მოთამაშეები არიან. მათი პროდუქცია იყიდება მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ აქვთ გარკვეული მინიშნებები ქართულ ღვინოსთან მსგავსებაზე. აფხაზეთმა გასულ წელს რუსეთში 9 მლნ ბოთლი ღვინო გაყიდა. მომხმარებელი როცა ამ ღვინოს ყიდულობს, მას ჰგონია, რომ რუსეთში აფხაზეთის გავლით შესულ ქართულ ღვინოს ყიდულობს,» – აცხადებს ლევან დავითაშვილი, – «7 წელი დაგვიჩივდა რუსეთის ბაზარზე დასაბრუნებლად. დიდი ხნის განმავლობაში ამ პრობლემის განვლვის გამო გაჩნდა ინტრიგა „აქრძალული ხილის“, რომელიც ბრუნდება და ეს შეიძლება მარკეტინგულად ძალიან მიმზიდველი აღმოჩნდეს. ბოლო კვლევების თანახმად, მოსახლეობის 45% მზად არის, ქართული ღვინო გასინჯოს. ეს ძალიან კარგი სასტარტო პირობაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელი რომელიც პირველად გასინჯავს ქართულ ღვინოს, სხვა პროდუქციას აღარ მიუბრუნდეს“.

თავდაპირველად რუსეთში მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული ღვინო შევა. ლევან დავითაშვილის თქმით, ქართული ღვინო საშუალო საფასო სეგმენტში მოხვდება და ერთი ბოთლი ქართული ღვინის ფასი მინიმუმ 300 რუბლიდან დაიწყება.

რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის შეტანით რამდენიმე რუსული დისტრიბუტორი კომპანია უკვე დაინტერესდა. ღვინის ქართული ბაზრის მსხვილმა კომპანიებმა მათგან გარკვეული შეთავაზებები მიიღეს. ამ ეტაპზე მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და კონკრეტული გადაწყვეტილებები ჯერ მიღებული არ არის.

„თელავის ღვინის მარანის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ რამაზაშვილი ამბობს, რომ მაღალი პოლიტიკური რისკების



■ 2005 წელს, საქართველოდან ექსპორტზე 81.3 მილიონი აშშ დოლარის ღვინო გავიდა, გასულ წელს კი 64.8 მილიონი აშშ დოლარის. ანუ, ქართული ღვინის ექსპორტი ემბარგომდელ დონეს ჯერ კიდევ ვერ დაუბრუნდა.

გამო რუსეთის ბაზარზე ხელახლა შესვლას დიდი სიფრთხილით მოეკიდება. ემბარგოს შედეგები „თელავის ღვინის მარანს“ დღემდე კარგად ახსოვს. 2006 წელს კომპანიის 70%-იანი წილი რუსეთის ბაზარზე მოდიოდა და ამ ბაზრის დაკარგვამ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა. „თელავის ღვინის მარანს“ პროდუქცია ამჟამად 20—მდე ქვეყანაში შედის. ზურაბ რამაზაშვილი აცხადებს, რომ ყველა საექსპორტო ბაზრის შენარჩუნების პარალელურად რუსეთის ბაზარზე შესვლასაც შეძლებს, რუსეთში შესატანი ღვინის პარტიის მოცულობა კი დიდწილად, იმპორტიორ კომპანიებთან გაფორმებულ კონტრაქტზე იქნება დამოკიდებული. „გააჩნია როგორ საკონტრაქტო პირობებს და გადახდის სისტემას შემოგვთავაზებენ. თუ მათ მიერ შემოთავაზებული გადახდის სისტემა ჩვენთვის მისაღები იქნება, რუსეთის ბაზარზე წელს 1 მილიონამდე ბოთლ ღვინოს გავიტანთ,» – ამბობს რამაზაშვილი.

1 მილიონამდე ბოთლი ღვინოს შეტანას აპირებს რუსეთის ბაზარზე „თელიანი ველიც“. „თელიანი ველის“ მარკეტინგის დირექტორი თეა კიკვაძე აცხადებს, რომ მათი კომპანია რუსეთში ძირითადი ბრენდით – „თელიანი ველით“ შევა, ახალ ბაზარზე შესვლას კი კომპანია ფინანსური სახსრების მოზიდვის ერთ-ერთ დამატებით, და არა ერთადერთ საშუალებად განიხილავს: „ჩვენი კომპანიის პროდუქცია 25 საექსპორტო ბაზარზე გადის. ახალ ბაზარზე შესვლა არ ნიშნავს უკვე დაბრუნებული ადგილის დატოვებას. რა თქმა უნდა, ყველა ბაზარს შევინარჩუნებთ. რაც შეეხება რუსეთს, ეს ჩვენთვის ახალი ბაზარია, რადგან ჩვენ ამ ბაზარზე პირველად შევედივართ. ვიცით, რომ იქ თავის დასამკვიდრებლად დიდი შრომა მოგვინევს“.

ღვინის ქართული ბაზრის მსხვილი კომპანიის ყველა ხელმძღვანელი თანხმდება, რომ რუსეთის ბაზარი დიდ პერსპექტივასთან ერთად, დიდ რისკსაც შეიცავს. პრეზიდენტ პუტინის ხელში „როსპოტრენბანდზორი“ ეკონომიკური იარაღია, რომლის მეშვეობითაც ის პოლიტიკური ვითარების შესაბამისად რუსეთში ხან ამერიკული ხორცს კრძალავს, ხან ქართულ ღვინოს და ხან უკრაინულ ყველს. გარანტია, რომ ერთ „მშვენიერ“ დღეს ქართულ პროდუქციას რუსეთის ბაზრიდან ისევ არ გამოაძევენ, არ არსებობს. მეღვინეები ამბობენ, რომ უნდა გარისკონ, რადგან ის ვინც არ რისკავს, არც შამპანურს სვამს. ■

ყოველი პეტიტი 11:20
მეცხრე ნახილ კოქიანი

PRESS-პრესა

დაქმნა პრესადადმინისტრია



სადაც არის სადაც



მომხმარებელთა ნდობის აკადემია

ბუნებრივი რესურსების მართვის მართლმართლობის მართლმართლობა

ბოლო პერიოდში პოპულარული გახდა ეკონომიკურ კრიზისზე საუბარი. ოპოზიცია ერთს ამტკიცებს, სახელისუფლებო პარტია კი – მეორეს. სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის მოყვანით ორივე მხარე ცდილობს მონინააღმდეგის არგუმენტები შეარყიოს და საკუთარი გაამყაროს. მარტივად რომ ვთქვათ, არ არსებობს უნიკალური ინდიკატორი, რომელიც ზუსტ პასუხს გაგვცემს, დგას თუ არა ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის წინაშე. როგორც წესი, ყველა ქვეყანაში ბევრი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემი გარკვეული პერიოდის შემდეგ იანგარიშება, მაგალითად დღეს ვერავინ იტყვის, თუ რამდენია იანვრის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი საქართველოში. რა არის გამოსავალი?

ISET

თითქმის ყველა განვითარებულ და ბევრ განვითარებად ქვეყანაში ყოველთვიურად ატარებენ ბიზნესებისა და მომხმარებელთა ნდობის კვლევას, რომლის შედეგებიც დროულად არის ხელმისაწვდომი და რაც მთავარია, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღი პროგნოზის გასაკეთებლად და ეკონომიკური ციკლის გადატეხის წერტილების საპოვნელად.

მომხმარებელთა ნდობის კვლევის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ადამიანთა მოლოდინების შეფასება. ზოგადად მოლოდინები ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს. მაგალითად, თუ ადამიანები უძრავ ქონებაზე ფასების დაცემას ელიან, შესაბამისად, ბევრი დაელოდება ბინების გაიფხვებას – ეს კი ნიშნავს, რომ მიმდინარე მოთხოვნა იკლებს და ფასები მართლაც ქვემოთ ნამოვა. ანალოგიურად, თუ ადამიანები ელიან, რომ ფასების ზოგადი დონე მოიმატებს, შედეგად მართლაც მაღალ ინფლაციას მივიღებთ. ეს ნორმატიული დებულებებია და არც ერთი ეკონომისტისთვის სადავო არ არის. საქმე იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა შევაფასოთ მომხმარებელთა მოლოდინები.

მომხმარებელთა ნდობის კვლევა პირველად 1977 წელს აშშ-ს მიჩიგანის უნივერსიტეტში დაიწყო. დღეს ანალოგიური კვლევა ევროკავშირის ოცდაშვიდივე ქვეყანაში ტარდება, სადაც ყოველთვიურად დაახლოებით 40,000 მომხმარებლის გამოკითხვა ხდება. კვლევის ზოგადი მეთოდოლოგია და ტექნიკური დეტალები შემუშავებულია



და გამოქვეყნებულია ევროკომისიის ეკონომიკური და ფინანსური საკითხების გენერალური დირექტორატის მიერ.

■ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით გამოწვეული საკმაოდ შთამბეჭდავი ორთვიანი აღმავლობის შემდეგ მომხმარებელთა ნდობის ინდექსი კვლავ ჩვეულ ინტერვალს დაუბრუნდა. როგორც ჩანს, ინდექსის გაუმჯობესება მოლოდინების ზრდაში გამოხატული დროებითი ეფორია იყო.

2012 წლის მაისში, თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა – ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა დაიწყო ანალოგიური კვლევის ჩატარება საქართველოში, სწორედ ევროკავშირის სახელმძღვანელო წიგნის მიხედვით. შედეგად ყოველთვიურად 400-მდე გამოკითხული მოქალაქე გამოთქვამს აზრს, როგორც საკუთარი ოჯახის მიმდინარე და მოსალოდნელ ფინანსურ მდგომარეობაზე, ასევე ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აფიქსირებენ თავიანთ მოლოდინებს უმუშევრობასა და ინფლაციაზე, დანაზოგების გაკეთებასთან დაკავშირებით და ა.შ.

კვლევა შედგება თორმეტი შეკითხვისგან, რომელთა შორის ექვსი – არსებულ სიტუაციას, ხოლო ექვსი მოლოდინებს შეეხება. მათზე დაყრდნობით იანგარიშება შესაბამისად არსებული მდგომარეობისა და მოლოდინების ინდექსი, ხოლო მათი საშუალო ძირითად მომხმარებელთა ნდობის ინდიკატორია.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით გამოწვეული საკმაოდ შთამბეჭდავი ორთვიანი აღმავლობის შემდეგ მომხმარებელთა ნდობის ინდექსი კვლავ ჩვეულ ინტერვალს დაუბრუნდა. როგორც ჩანს, ინდექსის გაუმჯობესება



მოლოდინების ზრდაში გამოხატული დროებითი ეიფორია იყო.

2012 წლის დეკემბერში მომხმარებელთა ნდობის ინდექსი მთელი 6.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა (-4.3%-დან -11.1%-მდე), რაც ძირითადად მოლოდინების ვარდნით იყო განპირობებული. მომხმარებელთა მოლოდინების ინდექსი, ზედიზედ ორი თვე დადებითი ნიშნის შენარჩუნების შემდეგ, დეკემბერში 11.8 პროცენტული პუნქტით დაეცა (5.2%-დან -6.5% მდე). არსებული მდგომარეობის ინდექსიც უმნიშვნელო 1.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა (-13.8%-დან -15.7%-მდე).

ახალი წელი მომხმარებელთა ნდობის ინდექსის გაუმჯობესებით დაიწყო, 2013 წლის იანვარში გაუმჯობესდა როგორც მოლოდინები (-6.5%-დან -3.5%-მდე), ასევე არსებული მდგომარეობა (-15.7%-დან -10.9%-მდე). თუმცა დეკემბერში უპრეცედენტო ვარდნის კომპენსირება არ მომხდარა და ყველა კომპონენტი კვლავ ნეგატიურ ტერიტორიაზე დარჩა. ინდექსის გაუმჯობესება ძირითადად ფასების ცვლილების ხარჯზე მოხდა: უფრო მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ სამომხმარებლო ფასებმა დაიკლო ან შენარჩუნდა და ელიან, რომ იგივე ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება (დეტალური მონაცემები კითხვარისა და ანალიზის ჩათვლით შეგიძლიათ იხილოთ აქ: www.iset-pi.ge).

აღსანიშნავია სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია:

1. მოსახლეობის უმრავლესობას დანაზოგების გაკეთების არანაირი საშუალება არ გააჩნია და პერსპექტივაშიც იმედი ამ მხრივ არ აქვთ. 2013 იანვარში გამოკითხული 360 შემთხვევით შერჩეული რესპოდენტთან 47%-მა აღნიშნა, რომ არსებობისთვის ვალებს იღებს, ხოლო 43%-ს ზუსტად ყოფნის შემოსავალი. აქედან რესპოდენტების 70% თვლის, რომ არაა მოსალოდნელი მომდევნო წლის მანძილზე რაიმე თანხის დანაზოგ გააკეთოს.

2. მოლოდინები, ისევე როგორც არსებული მდგომარეობა დედაქალაქსა და მის გარეთ მნიშვნელოვნად განსხვავდება. თბილისის მოსახლეობის მიმდინარე მდგომარეობა უკეთესია და უფრო ოპტიმისტურადაც არიან განწყობილი. მაგალითად: თბილისში გამოკითხულთა 23% მიიჩნევს რომ დროულია მსხვილი შენაძენების გაკეთება, მაშინ, როცა თბილისის გარეთ გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 15% ფიქრობს ანალოგიურად. ასევე, თბილისელთა ნახევარი ამბობს, რომ შემოსავალი ზუსტად ყოფნის და 41% იღებს ვალებს, რეგიონებში კი 38%-ს ყოფნის შემოსავლები ხოლო 51% იღებს ვალებს.

3. 2013 წლის იანვარში მომხმარებელთა ნდობის ინდექსის ყველა კომპონენტი გაიზარდა, გარდა სამი მნიშვნელოვანი მაჩვენებლისა: 1. ნაკლები ადამიანი ფიქრობს, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება 2. უფრო მეტი ფიქრობს, რომ ნაკლებს დახარჯავს მსხვილ შენაძენებზე და 3. მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ არ ღირს ვადიანი ანაბრის გახსნა.

საქართველო გამონაკლისი არ არის! არჩევნების პერიოდში მომხმარებელთა ნდობის ინდექსი, როგორც წესი, ყველა ქვეყანაში იმატებს. ასე მაგალითად, აშშ-ში 1977 წლიდან მოყოლოებული ყოველი არჩევნებისას (8 საპრეზიდენტო და 8 შუალედური ოქტომბერ-ნოემბერში მომხმარებელთა ნდობა იზრდება. ანალოგიური კვლევა (Consumer Confidence and Elections), რომელიც ჩატარდა ევროკავშირის 15 ქვეყანაში 1985-2007 წლების მონაცემთა საფუძველზე, ასკვნის, რომ მომხმარებელთა ნდობა იზრდება არჩევნების თარიღამდე ცოტათი ადრე და მოგვიანებით თითქმის იმავე ოდენობით იკლებს. სხვა მსგავსი კვლევების საფუძველზეც შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პოსტსაარჩევნო პერიოდში მომხმარებელთა ნდობის შემცირებას უფრო პოლიტიკური მიზეზები აქვს, ვიდრე ეკონომიკური. ■

უნყოფილი სივიცილასია

„ცივილიზაციის მთავარი ნიშანი არის წყალი. წყალი თუ არ არის, უკან მოგვრჩება გაზიც, ტრაქტორიც, ამბულატორიაც საავადმყოფოც, ყველაფერი. მოკლედ, თუ გააწყალეს საქმეს, კარგს იზამ“ – საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამ სიტყვებით სოფელ ქვემო ქედებში ჩასულ მაშინდელი მთავრობის წარმომადგენლებს 2012 წლის 12 ივნისს მიმართა.

ნანა ნასყიდაშვილი



წყალმომარაგების ტრადიციული პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს ბიუჯეტიდან არერთგზის გამოიყო დაფინანსება. შიდა ქართლის სოფლებში წყალმომარაგების პრობლემის მოსაგვარებლად ბოლო წლების განმავლობაში ბიუჯეტიდან ათასობით ლარი დაიხარჯა. ზოგიერთ სოფელში გარკვეული სამუშაოები ჩატარდა კიდევ, მაგრამ პრობლემა ზოგან მხოლოდ ნაწილობრივ, ზოგან კი – საერთოდ არ მოგვარებულა.

გორი, სოფელი ფლავისმანი

გორის რაიონის სოფელ ფლავისმანში ყოველი დილა ერთნაირად იწყება. ვედროებით, პლასტმასის ბოთლებითა და ხელის ურიკებზე დაწყობილი რკინის ბიდონებით მოსახლეობა წყლის მოსამარაგებლად მიემართება. ფლავისმანის რამდენიმე უბანს წყლის ავსება მხოლოდ ერთ ადგილას, სოფლის ბოლოში შეუძლია, სადაც წყლის საქაჩია მოწყობილი.

სოფელ ფლავისმანში წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2009 წელს განხორციელდა. დაიდგა ორი 100 ტონიანი წყლის ავზი, აგრეთვე, ნაწილობრივ შეიცვალა მილები. თუმცა, როგორც სოფლის მოსახლეობა ამბობს, სარეაბილიტაციო სამუშაოები უხარისხოდ შესრულდა. ამის დასტურად ფლავისმანის მოსახლეობას ის ფაქტი მოჰყავს, რომ რეაბილიტაციის ფარგლებში დადგმული ორი 100 ტონიანი წყლის ავზი საკუთარ ფუნქციას ვერ ასრულებს. ავზები კი კარგია,

მაგრამ სოფელში წყალმომარაგების სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ შეიცვალა.

ფლავისმანში მცხოვრებ მალხაზ გიუნაშვილს რეაბილიტაციის პროცესი კარგად ახსოვს.

“ამის მასალა სულ ყველაფერი ჩემ ეზოში ელაგა. უნდა გაკეთებულიყო ისეთნაირად და იმდაგვარად, რომ ის ბაკები უნდა გავსებულიყო და ბაკებიდან უნდა წასულიყო წყალი სოფლის სისტემაში. რომელ სისტემაში?! აქ ამ ერთ ადგილზე არ მოდის წყალი და რომელ სისტემაში უნდა წავიდეს?” – ამბობს მალხაზ გიუნაშვილი.

წყლის გაშვების შემდეგ წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებლად დარჩენილი ნაწილიდან წყალმა ჟონვა დაიწყო და მოსახლეობამდე მისმა მხოლოდ მცირე ნაწილმა მიაღწია. ამას დაემატა წყალსაქაჩი ძრავის პრობლემაც, რომლის საშუალებითაც ავზებში წყალი უნდა ასულიყო. თუმცა ძრავი იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ ავზების ავსებას რადენიმე კვირა სჭირდებოდა. წყლის საქაჩი ძრავის მიერ დაზარალებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა კი მოსახლეობას უწევდა. ფლავისმანელები ამ ხარჯის გაღებაზე უარს არ ამბობდნენ, თუმცა, ავზებში აქაჩული წყალი, სწორედ სისტემის გაუმართაობის გამო, მათ სახლებამდე ვერ აღწევდა, ამდენად დენში გადახდილი ფული წყალში გადაყრილი ფული გამოდიოდა. საბოლოოდ, მოსახლეობის გადანაცვებით, ავზებში წყლის აქაჩვა შეწყდა და მისი მომარაგება ყველას ისევ ხელით უწევს.

განხორციელებული სამუშაოების დამკვეთი მუნიციპალური განვითარების ფონდი იყო. პროექტების სამმართველოს ანალიზის უფროსი თენგიზ ლაიკიბაია ირწმუნება, რომ სამუშაოების დასრულების შემდეგ სისტემა ნესრიგში იყო.

„გატესტვის დროს შეიძლება მომხდარიყო გაჟონვა, მაგრამ გატესტვის საბოლოო ოქმის ხელმოწერა არ ხდება, თუ ის დეფექტი, რომელიც ფიქსირდება, არ აღმოიფხვრა. ანუ

■ **საჭირო დოკუმენტაციის მიღება საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახდა შესაძლებელი. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ხელშეკრულების მიხედვით, სოფელ ფლავისმანის წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო სამუშაოები 2009 წელს შპს „ელ-რიომ“ და შპს „საინჟეგომ“ განხორციელა. „ელ-რიომ“ წყლის ავზები დააყენა, ხოლო „საინჟეგომ“ ჭაბურღილი გათხარა. სამუშაოებზე სულ 203 000 ლარი დაიხარჯა.**

რადგანაც ოქმი ხელმოწერილია, იმის გარანტიას გაძლევთ რომ იმ დროს, როდესაც ოქმს ხელი მოეწერა, სისტემა მუშაობდა“, – განაცხადა ლაიკიბაიამ.

წყლის საქაჩი ძრავთან მოსახლეობას რიგში დგომა უწევს. რიგშივეა ჩამწკრივებული მათი ურიკები და პლასტიკის ბოთლები. წყლის საქაჩი ძრავი ხშირად ითიშება, შესაბამისად, წყალიც წყდება. „ცისკარა არის ესა, ცისკარა. თუ მოასწარი აავსებ, თუ არა და დაკეტილია“, ამბობს 81 წლის მზია თელაძე. ამის მიუხედავად მთელმა სოფელმა წყლის ავსება დილით 2 საათში უნდა მოასწროს. უფრო დიდხანს მუშაობის შემთხვევაში, წყლის საქაჩად დაყენებული ძრავი იწვება. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე გრაფიკი თავად სოფლის მოსახლეობამ შეადგინა. „2 საათი დილით და 2 საათი საღამოთი, რომ არ დაიხარჯოს. გვემინია დანვისა, მგონი, სამჯერ დაინვა და მერე თვეობით მიაქვთ გასაკეთებლად. აი, ამ ბოლოს რომ დაინვა ეს მოტორი, კიდევაც ვუთხარი, მე-13-ე რაიონია ბოლოს და ბოლოს ჩვენი უბანი, თუ

რაშია საქმე. დიდი ჩხუბით და უბედურებით მოვატანინე, არავინ თავის თავზე არ იღებს და არავინ ყურადღებას არ გვაქცევს, აბა რას გავხდებით ჩვენ“, – ამბობს 56 წლის მალხაზ გიუნაშვილი.

პროექტზე დაზარალებული თანხისა და შემსრულებელი კომპანიების შესახებ ინფორმაციის მისაღებად სტუდია „მონიტორს“ თვეები დასჭირდა. რეგიონული განვითარების სამინისტრო, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ჩეხეთის საელჩო საქართველოში, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და მუნიციპალური განვითარების ფონდი – ეს ის უწყებებია, სადაც საჭირო დოკუმენტაციის მოძიებას ვცდილობდით.

საჭირო დოკუმენტაციის მიღება საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახდა შესაძლებელი. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ხელშეკრულების მიხედვით, სოფელ ფლავისმანის წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო სამუშაოები 2009 წელს შპს „ელ-რიომ“ და შპს „საინჟეგომ“ განხორციელა. „ელ-რიომ“ წყლის ავზები დააყენა, ხოლო „საინჟეგომ“ ჭაბურღილი გათხარა. სამუშაოებზე სულ 203 000 ლარი დაიხარჯა.

იმის გასარკვევად, თუ რატომ მუშაობს საქაჩი შეფერხებით „საინჟეგოს“ მიემართეთ. ჰიდროგეოლოგმა გაბრიელ ჭინჭარაულმა პრობლემის მხოლოდ სავარაუდო მიზეზებზე ისაუბრა. „შესაძლებელია ტუმბო გამოვიდა წყობიდან, ან შეიძლება დაზიანდა და გადაინვა კიდევ. ამ შემთხვევაში როდესაც ტუმბო ამოიღეს, იქ შეიძლება სხვა ტიპის, სხვა სიმძლავრის ტუმბო დააყენეს და თანაც სხვა სიღრმეზე. მაშინ შესაძლოა, რომ წყლის დონის დაწევის შედეგად ავტომატის მიერ ხდებოდეს ტუმბოს გამორთვა, იმ დრომდე ვიდრე წყლის დონე აიწევს ჭაბურღილში და ტუმბო ისევ დაიფარება წყლით“, – განმარტავს ჰიდროგეოლოგი და კომპანია „საინჟეგოს“ წარმომადგენელი გაბრიელ ჭინჭარაული.

რაც შეეხება სრული სისტემის ფუნქციონირებას, შპს „საინფეო“ მასზე პასუხიმგებელი არ არის. რადგანაც აღიშნულ ორგანიზაციას მხოლოდ წყლის მოძიება და ქაბურღილის მონყობა ევალებოდა. დანარჩენი სამუშაოები მისგან დამოუკიდებლად შესრულდა და სისტემაში წარმოქმნილ ხარვეზებზე პასუხიმგებელი ერთი წლის განმავლობაში შპს „ელ რიო“ იყო. „მონიტორის“ მცდელობის მიუხედავად, „ელ-რიოს“ დირექტორთან ლერი მეტრეველთან ინტერვიუს ჩანერა ვერ მოხერხდა. შეგახსენებთ, რომ ლერი მეტრეველი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი პარლამენტარის, დავით ბაქრაძის სიმამრია.

„საინფეოში“ აღნიშნავენ, რომ იმისთვის, რომ სისტემამ გამართულად იმუშაოს პერიოდულად მისი შემოწმება და შეკეთება საჭირო. შემოწმებას საჭიროებს ტუმბოც. მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების სამმართველოს ანალიზის უფროსი თენგიზ ლაკირბაია ფიქრობს, რომ სისტემა სწორედ მოუვლელობის გამო ვერ ფუნქციონირებს.

სამუშაოების დასრულების შემდეგ მუნიციპალური განვითარების ფონდმა ფლავისმანის სისტემა გორის მუნიციპალიტეტს გადააბარა. გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ახლად დაინიშნული ხელმძღვანელი დავით გორგიშელი აღნიშნავს, რომ პრობლემის შესახებ რამდენიმე დღის წინ შეიტყო და ვითარების გამოსასწორებლად სათანადო განკარგულებაც უკვე გასცა. მისი თქმით, ფლავისმანში წყლის საკითხი უახლოეს მომავალში მოგვარდება.

კასპის სოფლები რკონი და ხანდაკი

სასმელი წყლის პრობლემა კასპის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებსაც აქვთ. ერთ-ერთი ასეთი სოფელი რკონია, რომელიც მთიან რეგიონში მდებარეობს. კასპიდან რკონამდე დაახლოებით 3 საათის სავალია. თუმცა, სოფლამდე მისვლა დაზიანებული

გზის გამო ძნელია. სოფელში არ არის მაღაზია, არც – აფთიაქი. რკონში 2 მოხუცი ცხოვრობს. ერთ-ერთი მათგანი 78 წლის მარიამ ჩოხელია. მისი თქმით, საცხოვრებელი პირობების არარსებობის გამო სოფელი მოსახლეობამ მიატოვა. რკონში ავტობუსიც არ დადის. კუთვნილი პენსიის ასაღებად მოხუცებს კასპში ტაქსით ჩასვლა უწევთ, ტაქსი კი, როგორც თავად ამბობენ, 60-70 ლარი უჯდებათ.

აღნიშნულ სირთულეებს სასმელი წყლის პრობლემაც ემატება. სოფელში არც ერთი ონკანი არ არის, საიდანაც მოსახლეობას წყლის აღების საშუალება ექნებოდა. მოხუცები მდინარის პირას გამოსული წყაროს წყალს სვამენ. ეს მათთვის ერთადერთი გამოსავალია. თუმცა, მოხუცებს ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებთ და წყლის ზიდვა მათთვის სულ უფრო ძნელი ხდება.

წვიმიანი ამინდების დროს ერთადერთი წყაროს წყალიც გამოუსადეგარი ხდება.

„მაშინ ვართ შავ დღეში. გადაუვლის ზედ მდინარე და სანამ მდინარე არ დაინეგს, მანამდე ხომ ვერ გავწმენდთ იმ წყალს. წვიმა რომ მოდის და დიდი ავდარი მოდის, წყალს წინასწარ ვიღებთ და გვიდგას ვედრებით და ბიტონებით, რომ არ დავრჩეთ უწყლოდ“, ამბობს 78 წლის მარიამ ჩოხელი.

რკონში მცხოვრები მოხუცებისთვის ვითარება ზამთარში კიდევ უფრო მძიმე ხდება. მოხუცებს წელამდე თოვლის გაკვალვა უწევთ, წყარომდე მისაღწევად, თუმცა ის ზოგჯერ გაყინული ხდება. „აქ დიდი ზამთარი იცის. ყინვა იცის, მდინარე ახლოა სოფელთან და ყინავს ხოლმე. არავინ ზრუნავს ჩვენზე. ბევრჯერ თოვლი წელამდეა და გავკვალავთ გზას, გავიტანთ, ჩავალთ და ამოვიტანთ წყალს. თუ გაყინულია, აღარ ჩავდივართ, მერე თეზამსა ვსვავთ, მდინარესა“, - ამბობს მარიამ ჩოხელი.

კასპის მუნიციპალიტეტმა წყლის საკითხის მოგვარების მიზნით 2010 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რკონისთვის 900

ლარი გამოყო. კასპის მუნიციპალიტეტსა და ინდემნარმე მერაბ ბაისონაშვილს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, რკონისთვის სასმელი წყლის მიღის მიწოდება და ადგილამდე ტრანსპორტირება უნდა განხორციელებულიყო. 2010 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა და მაშინდელმა გამგებელმა კახაბერ ხაჩირიშვილმა ჩაიბარა. დოკუმენტის მიხედვით რკონის წყალმომარაგებისათვის 600 ცალი პლასტმასის მილი ინდემნარმე მერაბ ბაისონაშვილმა შეიძინა. „ის მიღები დაასაწყობეს, უნდა გაეკეთებინათ წყლის გაყვანილობა. მეტი მე არაფერი ვიცი. არაფერი“, - თქვა ჩვენთან საუბრისას მერაბ ბაისონაშვილმა.

2011 წელს სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში რკონში სასმელი წყლის გასაყვანად 2 153 ლარი გამოიყო. დოკუმენტში მითითებულია, რომ სამუშაოები 100 პროცენტით შესრულდა, თუმცა, წყალი სოფელში ამის შემდეგაც არ მოსულა. „მონიტორი“ დაინტერესდა, კონკრეტულად რა სამუშაოები განხორციელდა და ამ კითხვით კასპის გამგეობას წერილობით მიმართა. თუმცა 2011 წლის სამუშაოების შესახებ ოფიციალურმა უწყებამ ინფორმაცია არ გაასაჯაროვა. ამის შემდეგ ინფორმაციის მისაღებად კასპის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით მესროფაშვილს მივმართეთ. მისი ინფორმაციით, 2011 წელს სოფელ რკონში სასმელი წყლის პროექტი განხორციელდა, თუმცა კონკრეტულად რა სამუშაოები შესრულდა – ეს მესროფიშვილმა არ გვითხრა და არც შესაბამისი დოკუმენტაცია მოგვანოდა.

2012 წელს კასპის მუნიციპალიტეტმა სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში რკონისთვის თანხები ისევ გამოყო, ამჯერად თანხა უფრო მეტი იყო და 3 416 ლარს შეადგინა. თუმცა 2012 წელს წყლის პრობლემის მოგვარება პრიორიტეტი აღარ აღმოჩნდა. ამჯერად მუნიციპალიტეტის დადანყვეტილებით, რკონში

სკვერის მოწყობა დაიგეგმა და სოფლის დასახმარებლად გამოყოფილი თანხით მუნიციპალიტეტმა საქანელა შეიძინა. საქანელის დაყენებაზე ხელშეკრულება კასპის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე დავით მესროფაშვილმა შპს. „ნიკუშა“-სთან გააფორმა. ხოლო საქანელის დადგმის მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, საქანელის დაყენების სამუშაოები მაშინდელმა გამგებელმა კახაბერ ხაჩირაშვილმა ჩაიბარა. დავით მესროფაშვილის თქმით, საქანელის დადგმა თავად მოსახლეობამ მოითხოვა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ძირითად მიზნებს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის N20 დადგენილება განსაზღვრავს. დოკუმენტში ვკითხულობთ: „განსახორციელებელი პროგრამით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას.“ დადგენილებაში მითითებულია, რომ პროგრამით გათვალისწინებული თანხები უნდა წარიმართოს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად. ხოლო მე-5-ე მუხლის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრა ხდება შესაბამისი სოფლის მოსახეობასთან მხოლოდ წინასწარი კონსულტაციის შემდეგ. სოფელ რკონის შემთხვევაში დადგენილების ყველა ეს პუნქტი დარღვეულია.

რკონში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმირებულია კასპის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ოლეგ იაძე. მისი თქმით, სასმელი წყლის საკითხის მოგვარება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება. თუმცა, ის რკონის მოხუცებს სხვა პრობლემის მოგვარებას ჰპირდება. იაძის თქმით, ის შეეცდება მოლაპარაკებები აწარმოოს შესაბამის უწყებებთან, რათა რკონში მცხოვრებ მოხუცებს კუთვნილი პენსიის მისაღებად კასპში სიარული აღარ დასჭირდეთ და მათ თანხა ადგილზე მიიღონ.

სასმელი წყლის პრობლემა აქვთ კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკიც.

2011 წელს სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში რკონში სასმელი წყლის გასაყვანად 2 153 ლარი გამოიყო. დოკუმენტში მითითებულია, რომ სამუშაოები 100 პროცენტით შესრულდა, თუმცა, წყალი სოფელში ამის შემდეგაც არ მოსულა.

მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სოფლის ერთ-ერთ ქუჩაზე მდგარი ონკანი წყლის ავსების ერთადერთი საშუალებაა. მაყვალა მარლიშვილს, სხვების მსგავსად, წყლის ზიდვა ყოველდღიურად უწევს. „ვედრებით ვზიდავ წყალსა. განა ცოტა ხანია, ლამის 30 წელიწადი მაინც არის. ორ-ორი ვედრით დავიჭერ და ვზიდავ წყალსა. ამ ხნის ქალი ვარ, ბეჭები მტკივა ამ წყლის მიტანით ძნელია, შვილო, ძნელი“, – აღნიშნავს მაყვალა მარლიშვილი.

სოფელ ზემო ხანდაკში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისთვის თანხები ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად გამოიყოფოდა. თავდაპირველად კასპის მუნიციპალიტეტმა სასმელი წყლის სისტემების შეკეთება-მოწყობისთვის თანხები საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე 2010 წელს მიიღო. სოფლებში, სადაც სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო, ზემო ხანდაკიც მოხვდა. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიღებული დოკუმენტების მიხედვით, 2010 წლის 6 მაისის მდგომარეობით ამ სოფელში სასმელი წყლის ქსელის ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე 23 295 ლარი დაიხარჯა.

მომდევნო 2011 წელს ზემო ხანდაკში წყლის პრობლემის მოსაგვარებლად თანხები უკვე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოიყო და 20 700 ლარი შეადგინა. 2012 წელს კი, ზემო ხანდაკის სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე 37 411 ლარი დაიხარ-

ჯა, თუმცა სოფელს წყალი მაინც არ მიენდობა. „ამ წყალთან დაკავშირებით ჯერ შარშანწინ გათხარეს, ჩაყარეს მილები, მეცა მაქვს აყვანილი და ესევე გადანოლილია ეს მილი, რომ ველოდებოდით – წყალი მოვა, წყალი მოვა, წყალი მოვა. წყალი არსად არ გამოჩნდა“, – აღნიშნავს მაყვალა მარლიშვილი.

სოფლის რწმუნებულის გიორგი იანვარაშვილის თქმით, სოფლამდე მისასვლელი 7 კილომეტრიანი წყლის მაგისტრალი გაკეთდა. თუმცა, წყლის სათავე ნაგებობასთან არსებული პრობლემები მოსაგვარებელია. „სათავე არის დაბლა. ვერ ამოდის წყალი აღმართზე და მერმის პრეზიდენტის პროგრამით, რომ იყო, ფულებს რომ გვაძლევდნენ სოფლებს, იმ ფულით უნდა გაგვეკეთებინა“, – აღნიშნავს გიორგი იანვარაშვილი. მისივე თქმით, ბოლო წლების განმავლობაში გამოყოფილი თანხები ამ საკითხის მოსაგვარებლად საკმარისი არ იყო. „10 000 ლარი იყო პირველ წელიწადს გამოყოფილი, თუ 12 000 ათასი და აბა 12 000 როგორ გვეყოფოდა“, – ამბობს სოფლის რწმუნებული. სოფელ ხანდაკში წყლის პრობლემის მოგვარების მიზნით მხოლოდ ბოლო სამი წლის განმავლობაში სახელმწიფომ მთლიანობაში 81 406 ლარი გამოიყო.

ქარელის რაიონი, სოფელი ბრეძა

სოფელი ბრეძა საზღვრისპირა სოფელია და ქარელის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ამ სოფელში წყლის პრობლემა, მოსახლეობის თქმით, დიდი ხანია, არსებობს. სოფელში ძველი ონკანი დგას, საიდანაც წყალი მუდმივად მოდიოდა. თუმცა, 2010 წელს განხორციელებული რეაბილიტაციის შემდეგ წყალი ამ ონკანში უკვე იშვიათად მოდის.

სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ფარგლებში სოფელში 11 ახალი ონკანი დაიდგა. ბრეძაში აღნიშნული პროექტი ევროკავშირის დაფინანსებით, გაეროს განვითარების პროგრამამ UNDP-იმ განახორციელა.

ბრედაში განხორციელებულ პროექტის შესახებ ინფორმაციის მისაღებად სტუდია „მონიტორი“ UNDP-ის წარმომადგენლებს შეხვდა. ინტერვიუს ჩანერაზე და პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლების მოწოდებაზე UNDP-იმ უარი თქვა. თუმცა, ორგანიზაციამ დოკუმენტაციის ადგილზე გაცნობის უფლება მოგვცა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის თანახმად ბრედას წყალმომარაგების პროექტზე 108 ათასი ლარი დაიხარჯა. სამუშაოები 2009 წლის სექტემბერში დაიწყო. სოფელში წყლის მიწები გაიყვანეს. ასევე, შეკეთდა სათავე ნაგებობა, სადაც ქარელის მუნიციპალიტეტის თხოვნის გამო მეზობელი სოფელი ატოცისთვის წყლის საქაჩი ძრავიც დაიდგა. UNDP-ის წარმომადგენლის თქმით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში პერიოდულად სისტემის შემოწმება ხდებოდა, რათა შესრულებული სამუშაოს ხარვეზები აღმოფხვრილიყო.

რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ 2010 წლის 10 აგვისტოს ბრედაში UNDP-ის წარმომადგენლებთან ერთად ქართლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც ჩავიდნენ. UNDP-იმ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების თანდასწრებით სისტემა საბოლოოდ შეამოწმა და დასრულებული ობიექტი ქარელის მუნიციპალიტეტს ჩააბარა. ობიექტის მიღება-ჩაბარების დოკუმენტში მითითებულია:

„კომისია ადგენს: ობიექტი ჩაითვალოს დასრულებულად. მიეცეს რეკომენდაცია ქარელის მუნიციპალიტეტს მიიღოს ობიექტი თავის განკარგულებაში შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით“. ქარელის მუნიციპალიტეტის მხრიდან დოკუმენტს ხელს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ ლეკიშვილი აწერს. ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ობიექტის გადაცემის შემდეგ რამდენიმე დღეში ახლად დაყენებულ ონკანებში წყალი დაწყდა.

82 წლის ვახტანგ მეყანნიშვილი შვილთან ერთად სოფელ ბრედაში ცხოვრობს. მამა-შვილს წყლის მოსატანად მეზობელ უბანში სიარული

■ „ამ წყალთან დაკავშირებით ჯერ შარშანწინ გათხარეს, ჩაყარეს მიწები, მეცა მაქვს გაყვანილი და ესევე გადანოლილია ეს მიწი, რომ ველოდებოდით – წყალი მოვა, წყალი მოვა, წყალი არსად არ გამოჩნდა“.

ყოველდღე უწევთ. 82 წლის მოხუცი დიდ ჭურჭელს ვედარ ერევა, მაგრამ შვილს მაინც ეხმარება. ვახტანგ მეყანნიშვილის თქმით, წყალი იმიტომ არ მოდის, რომ სისტემას სოფლის ოჯახებმა თვითნებურად მიუერთეს მიწები და ყველამ საკუთარ სახლში ინდივიდუალურად შეიყვანა წყალი. „ყველამ დადგა და სახლში გაიყვანა. დაჭრეს, გაჭრეს მთელი მიწები, სულ დაჭრილია, სახლში აქვთ გაყვანილი. თვითონ, სოფლის მთავრობამ გაიყვანა პირველად და მერე მიჰყვა ხალხი იმათ“.

რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემის მეთვალყურეობის გარეშე დატოვება ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან აღებული ვალდებულებების დარღვევაა. ეს ვალდებულება მიღება-ჩაბარების აქტშიც განერილია: „ქარელის მუნიციპალიტეტი ბრედას საკრებულოსთან ერთად ვალდებულებას იღებს, განახორციელოს ზედამხედველობა სასმელი წყლის სისტემის შემდგომ დაცვაზე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ობიექტის შემდგომში გამართული მუშაობის უზრუნველყოფისთვის“.


გაეროს ოფისში ნაჩვენებ დოკუმენტს, რომლიდანაც ეს პირობა ამოვინერეთ, ზურაბ ლეკიშვილი აწერს ხელს. გაეროს ოფისში ისიც გვითხრეს, რომ დოკუმენტის ასლი ქარელის მუნიციპალიტეტში ინახება. თუმცა ზურაბ ლეკიშვილმა ეს ინფორმაცია უარყო და ისიც აღნიშნა, რომ ხელი არაფერზე მოუწერია.

მეორე მიზეზი, რის გამოც ბრედაში წყალი არ მოდის ე.წ. „წყლის მცირე დებეტი“, ანუ წყლის ნაკლებობაა. პრობლემის მოგვარება ამ ზაფხულს ჭაბურღილის გათხრით იგეგმებოდა, რისთვისაც 17 ათასი ლარი გამოყო. ჭაბურღილის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ზურაბ ლეკიშვილის თქმით, სოფელ ბრედაში სასმელი წყლის პრობლემა მოიხსნა. „მონიტორი“ ვითარების ადგილზე გასაცნობად, ბრედაში ზამთარში კვლავ ჩავიდა. „დილით მოდის 5-6 წუთი. საღამოს ხან მოდის 10 წუთი და ეგ არის, გაქრება მაშინვე. ხანდახან სულ არ მოდის. დაიწყებს ბუყბუყს. ბუყბუყებს, ბუყბუყებს და გაჩერდება. ველოდებით, მაგრამ აღარ გამოდის მერე წყალი. ესე იგი, აღარ არის“. განსაკუთრებული გაუმჯობესება მეყანნიშვილის თქმით, არც წყლის გრაფიკს დაეტყო. 83 წლის მოხუცი იძულებული გახდა მისი სახლის წინ რეაბილიტაციის შემდეგ გამავალი წყლის მილიდან წყალი სახლში შეეყვანა, რათა დილაობით ჭურჭლის გავსება მაინც მოასწროს.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს პოზიციი

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წინა მთავრობის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესწავლას შეუდგა. მინისტრის პირველი მოადგილის თენგიზ შერგელაშვილის თქმით, ამ კუთხით მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. საკითხით პროკურატურაც დაინტერესებულია. სამინისტროში გვითხრეს, რომ წყალმომარაგების სისტემები სათანადო რეაბილიტაცია და ახალი პროექტების განხორციელება 2013 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. წყლის სისტემების ახალი პროექტების განხორციელების მოლოდინშია მოსახლეობაც. ■

პროექტი ხორციელდება „ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით



www.facebook.com/TalkShowLiberal

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ-შოუ "ლიბერალი" მსმენელს მიმდინარე მოვლენებზე, ფაქტებზე დაყრდნობილ, განსხვავებულ თვალსაზრისებს სთავაზობს.

გადაცემა მიუკერძოებლად და ობიექტურად საუბრობს ისეთ თემებზე, რომლებიც ქართულ მედიაში, როგორც წესი, მარგინალიზებულია.

გადაცემის მიზანია სადისკუსიო საკითხების სივრცის გაფართოება; იქნება ეს განათლების პოლიტიკა, ჯანდაცვა, სამართალი, ქსენოფობიის და ფუნდამენტალიზმის ნიშნები ქართულ საზოგადოებაში, უმცირესობის წარმომადგენლების უფლებების შელახვა და სხვა.

ეთერში გასვლის დრო: ყოველი სამუშაო დღე - 19:00

განმეორებით: ყოველი სამუშაო დღე - 02:00



ტოკ-შოუ "ლიბერალის" ავტორები და წამყვანები:



შორენა შავერდავაილი



ნინო ბექიშვილი



ლიკა ზაკაძე



ნინია კაკაბაძე



თინა უგრეშიძე

ბოდიში, C ჰეპატიტის მახინჯობისთვის ბიჯახში ფუცი ახ ახის

C ჰეპატიტით ინფიცირებული მოქალაქეები ახალი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ჯანდაცვის უნივერსალური სადაზღვევო პაკეტის მიღმა დარჩნენ. 2013 წლის ბიუჯეტში მათი მკურნალობისთვის საჭირო თანხა არ აღმოჩნდა.

მანანა ვარდიაშვილი



„C ჰეპატიტის დიაგნოზი 5 წლის წინ დამისვეს. ძალიან მოულოდნელი და დიდი შოკი იყო როგორც ჩემთვის, ისე მთელი ოჯახისთვის“, – ამბობს 35 წლის დათო კ., – „ყველა აუცილებელი გამოკვლევის ჩატარების შე-

მდეგ, ექიმმა მკურნალობის დაწყება მირჩია. დაავადების ფორმიდან გამომდინარე, განკურნების მაღალი შანსი მაქვს, მაგრამ არა მაქვს მთავარი – ფინანსური შესაძლებლობა. მარტო მედიკამენტებისთვის 6000 დოლარი მჭირდება. მკურნალობის პროცესში კიდევ სხვადასხვა ანალიზების გაკეთებაა საჭირო, რაც ასევე დიდ თანხას მოითხოვს. ამხელა ფულს თავი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოფუყარო, თუ ბინას გაყიდი. ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს და მათ ბინის გარეშე ვერ დავტოვებ. ამიტომ, ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე. თუმცა, იმ აზრთან შეგუება, რომ უფულობის გამო, შესაძლოა, რამდენიმე წელიწადში ლვიძლის უკმარისობით მოვკვდე, ადვილი არ არის.“

დათო კ. გამონაკლისი არ არის. საქართველოში C ჰეპატიტით, სავარაუდოდ, 200 000-დან 300 000-მდე ადამიანი ინფიცირებული. მედიკოსების შეფასებით, მკურნალობის კურსი მათგან მხოლოდ დაახლოებით 20 ათასს (10%) აქვს გავლილი. მედიკამენტების სიძვირის გამო ათასობით მოქალაქეს C ჰეპატიტის მკურნალობაზე ხელი არ მიუწვდება. C ჰეპატიტის მკურნალობის ხარჯებს არც სადაზღვევო კომპანიები ანაზღაურებენ.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მოწინააღმდეგეებით, მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვი 180 მილიონს აღემატება, ქრონიკული C ჰეპატიტის დროს კი დაახლოებით 5-დან ერთ პაციენტს ლვიძლის ციროზი, ან კიბო უვითარდება, რომლის მკურნალობის ერთადერთ გზას ლვიძლის

ტრანსპლანტაცია წარმოადგენს. C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების ფონზე განვითარებული ღვიძლის ქრონიკული დაავადებით ყოველწლიურად დედამიწაზე 8-10 ათასი ადამიანი იღუპება.

C ჰეპატიტის მკურნალობა ორი პრეპარატით – რიბავირინითა და პეგილირებული ინტერფერონით ხდება. 24-კვირიანი კურსის გავლა 6000, 48 კვირიანის კი - 12 000 აშშ დოლარი ჯდება. ბევრი წამყვანი ქვეყნის გაიდლაინში, C ჰეპატიტის ზოგიერთი ფორმის სამკურნალოდ უკვე იყენებენ სამმაგ თერაპიას, რაც რიბავირინთან და პეგილირებულ ინტერფერონთან ერთად კიდევ ერთი პრეპარტის – ბოცეპრევირის, ან ტელაპრევირის გამოყენებას გულისხმობს. თერაპიაში მესამე მედიკამენტის დამატება ზრდის განკურნების შანსს, მაგრამ მკურნალობის კურსს კიდევ 50 000 ლარით აძვირებს. საქართველოში, სადაც ოფიციალური ინფორმაციით, მოსახლეობის 15,1% უმუშევარია, დასაქმებულთა საშუალო ხელფასი კი - 700 ლარია, მკურნალობაში ასეთი მაღალი ფასის გადახდა ბევრისთვის მიუწვდომელია. ხშირად საქმე მკურნალობამდე კი არა, სრულ გამოკვლევამდეც ვერ მიდის, რადგან C ჰეპატიტის სრული დიაგნოსტიკა 1600 ლარი ჯდება.

ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი 6 წელზე მეტია დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი ბრიტანეთის მოქალაქე არ არის და იქ სამუშაო ვიზით იმყოფება, მას სახელმწიფო C ჰეპატიტის მკურნალობის ხარჯებს სრულად უფინანსებს. „თუ პოლიკლინიკის ექიმმა დაადგინა, რომ პაციენტს C ჰეპატიტი აქვს, მაშინ მას პროფესიონალი ჰეპატოლოგები დამატებით ანალიზებს უკეთებენ და ადგენენ, ესაჭიროება თუ არა მკურნალობა. ზოგ შემთხვევაში მკურნალობა არ არის რეკომენდებული. ამ დროს პაციენტი მონიტორინგის ქვეშ იმყოფება და 3 თვეში ერთხელ მიდის სპეციალურ კლინიკაში, სადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მონმდება. თუ დაავადება პროგრესირებს, მაშინ იწყებენ მკურნალობას. ბრიტანეთში მკურნალობა ხელმისაწვდომია ყველასათვის. ეს არის მთავარი განსხვავება საქართველოსა და ბრიტანეთს შორის,“ – ამბობს ირაკლი. დიდ ბრიტანეთში ჩი ჰეპატიტით დაავადებული ადამიანებისთვის ასევე არსებობს არაერთი სპეციალური პროგრამა. მკურნალობის პერიოდში მათ შეღავათებს უნევენ სამსახურში, ფსიქოლოგიურ და-

■ საქართველოში ჯანდაცვის მთლიანი ბიუჯეტი 650 მილიონი ლარია. მთელი ბიუჯეტი C ჰეპატიტით ინფიცირებულთა მკურნალობაზე რომ მივმართოთ, ეს თანხა მანც არ იქნება საკმარისი.

ხმარებას იღებენ მათი ოჯახის წევრებიც.

საქართველო იმ ქვეყნების ჩამონათვალშია, რომლებიც C ჰეპატიტით ინფიცირებულებს მინიმალურადაც არ ეხმარება. რატომ დარჩნენ C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანები ჯანდაცვის „უნივერსალური“ სადაზღვევო პაკეტის მიღმა? „ლიბერალის“ ამ კითხვას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მათემეტიკური სიზუსტით გამოთვლილი პასუხი გასცა: „ბევრი პრედიქტორული ნიშნის მიხედვით მოსალოდნელია, რომ საქართველოში ჩი ჰეპატიტით დაავადებული იყოს 200 000 ადამიანი. საერთაშორისო გამოცდილებით ცნობილია, რომ ამ 200 000 ადამიანიდან ანტივირუსული მკურნალობა მხოლოდ დაახლოებით 15—20%—ს სჭირდება. იმისთვის, რომ ყველა მათგანს ვუ-მკურნალოთ, 800 მილიონი ლარია საჭირო. C ჰეპატიტით, ან სხვა დაავადების გამო დაზიანებული ღვიძლის ტრანსპლანტაცია ამჟამად საქართველოში 1000 ადამიანს სჭირდება. ღვიძლის გადანერგვის ოპერაციის ღირებულება ქვეყნებისა და კლინიკების მიხედვით 300 000 – დან 5000 000 ევრომდე მერყეობს. საქართველოში ჯანდაცვის მთლიანი ბიუჯეტი 650 მილიონი ლარია. მთელი ბიუჯეტი C ჰეპატიტით ინფიცირებულთა მკურნალობაზე რომ მივმართოთ, ეს თანხა მანც არ იქნება საკმარისი. ეს ციფრები მოვიყვანე იმიტომ, რომ ავიხსნათ, თუ რატომ ვერ ვინყებთ ფართო ფრონტით C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების მკურნალობას“, – ამბობს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო.

ექიმი ინფექციონისტი მიიჩნევენ, რომ მონაცემები, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტრო ეყრდნობა, მოძველებულია. „ბოლო ეპიდემიოლოგიური კვლევა, რომლის თანახმადაც მოსახლეობის 6,7%-ს, ანუ დაახლოებით 200 000 ადამიანს C ჰეპატიტი აღმოაჩნდა, 2004 წელს ჩატარდა,“ – ამბობს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის

■ 2010 წელს გამოცხადდა ტენდერი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფომ 47 მსჯავრდებულისთვის საჭირო სამკურნალო პრეპარატები შეისყიდა. რაც მთავარია, ტენდერის წყალობით, ძვირადღირებული მედიკამენტების ფასი თითქმის განახევრდა.

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ექიმი, პროფესორი ლალი შარვაძე, – „ზუსტი მონაცემები, ამჟამად რამდენი ადამიანია C ჰეპატიტით ინფიცირებული და დაავადების რომელი სტადია აღენიშნებათ მათ, არ არსებობს. წესით, ეპიდემიოლოგიური კვლევა ყოველ წელს უნდა ტარდებოდეს. სამწუხაროდ, ჩვენ ამის საშუალება არ გვაქვს. სახელმწიფო, ჯერჯერობით, ვერ აფინანსებს C ჰეპატიტის მკურნალობას. ჩვენი, მკურნალი ექიმების ინფორმაციით, ძვირადღირებული მედიკამენტების გამო, დაავადებულთა დაახლოებით 10% ახერხებს მხოლოდ მკურნალობას“.

C ჰეპატიტის მკურნალობისა და მისი შედეგების სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში არ არსებობს. მაგრამ, არსებობს ბოლო წლებში ჩ ჰეპატიტის ახალი შემთხვევების გამოვლენის სტატისტიკა:

წლები	მწვავე C ჰეპატიტი	ქრონიკული C ჰეპატიტი	სულ
2008	144	1973	2117
2009	68	1900	1968
2010	61	2006	2067
2011	46	2446	2492
2012	181	1666	1847

საქართველოში C ჰეპატიტის მკურნალობა მხოლოდ შიდსის ვირუსით ინფიცირებულთათვის არის უფასო. 550 აივ ინფიცირებულს C ჰეპატიტის მკურნალობა „გლობალურმა ფონდმა“ დაუფინანსა. არსებობს კიდევ ერთი რისკჯგუფი, რომელმაც C ჰეპატიტის მკურნალობის შესაძლებლობას სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეშვეობით მიაღწია: 2007 წელს რამდენიმე პატიმარმა საქართველოს ციხეებში C ჰეპატიტის სრული დიაგნოტიკისა და მკურნალო-

ბის პირობების არარსებობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა. სტრასბურგის სასამართლომ მათი სარჩელი დააკმაყოფილა და საქართველოს სახელმწიფოს დააკისრა არა მხოლოდ სასამართლოს ხარჯის, არამედ მსჯავრდებულთათვის საჭირო სამკურნალო თანხის გადახდაც. ამავე დროს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მთავრობას ციხეებში არსებულ „სისტემურ პრობლემაზე“ მიუთითა. ამის შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და სასჯელაღსრულების მინისტრებმა სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი პაციენტების მკურნალობის მიზნით ერთობლივი ბრძანება გამოსცეს. 2010 წელს გამოცხადდა ტენდერი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფომ 47 მსჯავრდებულისთვის საჭირო სამკურნალო პრეპარატები შეისყიდა. რაც მთავარია, ტენდერის წყალობით, ძვირადღირებული მედიკამენტების ფასი თითქმის განახევრდა.

ირაკლი იმნაიშვილი ამბობს, რომ საქართველოში C ჰეპატიტით დაავადებულთა მკურნალობა შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის სახელმწიფო ნება არ არსებობს. მან უკვე დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „C და ჰეპატიტის პაციენტთა გაერთიანება“ და ახლა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის დასაწყებად ემზადება. ირაკლი მიიჩნევს, რომ ჰეპატიტთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის შექმნამდე, სახელმწიფომ ჯერ რეალური სურათი უნდა შეისწავლოს – დაადგინოს იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც დაუყოვნებლივ მკურნალობა სჭირდებათ, შემდეგ კი C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატების მწარმოებელ ფარმაცოლოგიურ კომპანიებთან მედიკამენტებზე ფასების შემცირების მიზნით მოლაპარაკება დაიწყო. „ასეთი პრეცედენტი უკვე არსებობს. არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოს ზიანის შემცირების ქსელმა“ ასეთ ფარმაცოლოგიურ კომპანიებთან მოლაპარაკების შემდეგ საგრძნობლად შეამცირა მკურნალობის საფასური. ახლა წარმოიდგინეთ, რომ სახელმწიფომ თუნდაც რამდენიმე ათეული ადამიანის მკურნალობის კურსზე ტენდერი გამოაცხადოს. გარანტიას გაძლევთ, რომ საქართველოში C ჰეპატიტის მკურნალობის ფასი საგრძნობლად შემცირდება. ამისთვის მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო, რომელიც სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ არ არსებობს“. ■

„კომპანია ნატახტარი 2008 წლიდან მუშაობს ახალი შრომის კოდექსის პრინციპების გათვალისწინებით...“

შრომის კოდექსში ცვლილებების პაკეტით, სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში 41 საათი იქნება, ზეგანაკვეთურად ჩაითვლება კვირაში 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო. დამსაქმებელს დასაქმებულის დაუსაბუთებლად გათავისუფლება არ შეეძლება და ვალდებული იქნება 30 დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წერილობით.

საქართველოს შრომის კოდექსში შესატან ადნიშნულ ცვლილებებსა და მის მნიშვნელობაზე გვესაუბრება კომპანია „ნატახტარის“ პერსონალის მართვისა და ადმინისტრაციის დირექტორი **ხათუნა ჩხაიძე**.



ხათუნა ჩხაიძე

რამდენად მნიშვნელოვანია შრომის კოდექსში არსებული ცვლილებები და რამდენად დაცული ამ ცვლილებების ფონზე დამსაქმებლის ინტერესები?

ჩემი პოზიციით, რომ შრომის სამართლიანი კანონმდებლობა, ანუ კანონმდებლობა რომელიც არ ამძიმებს, არც დამსაქმებელთა და არც დაქირავებულთა პირობებს, მომგებიანია ორივე მხარისათვის. როგორც დამსაქმებლის, ჩვენი კომპანიის მიდგომაა – შევუქმნათ თანამშრომლებს საუკეთესო პირობები, რადგან კმაყოფილი თანამშრომელი არის უფრო ერთგული, ნაყოფიერი და მოტივირებული. ერთგვარი სიამაყით შემოიძლია გითხრათ, რომ კომპანია ნატახტარი 2008 წლიდან არის გადასული მუშაობის იმ პრინციპებზე, რაზეც დღეს საუბრობს შრომის კოდექსი. ამის მიზეზი არის ის, რომ სწორედ 2008 წლიდან ჩვენ ვაგხდით ეფექსის ლუდსახარშების საერთაშორისო ჯგუფის წევრები და ამან გამოიწვია დაქირავებულზე მეტად ორიენტირებული სამუშაო პირობების შექმნა. ინტენსიური ტრენინგი თანამშრომელთა განვითარებისთვის, სამედიცინო დაზღვევა, სესხი, ავანსი, მეცამეტე ხელფასი, უფასო კვება, ყოველთვიური სასაჩუქრე პროდუქცია (ლუდი და ლიმონათი), თანამშრომელთა ტრანსპორტირება, ექიმი – ეს ყველაფერი კომპანიაში ახალი არ არის.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობით გააფრთხილოს დასაქმებული გათავისუფლების თაობაზე. დამსაქმებელს დასაქმებულის არგუმენტაციის გარეშე გათავისუფლება აღარ შეეძლება. ასეთ ცვლილებას იღებს ბიზნესი?

მაგალითად კომპანია „ნატახტარს“ აქვს საკუთარი დისციპლინარული პოლიტიკა – ქვევის კოდექსი, ის გაწერილია დონეებად და ცნობილია თითოეული თანამშრომლისთვის. ამიტომ თითოეულმა იცის კონკრეტულად რა სახის დარღვევა რა შედეგს გამოიწვევს. თუმცა იმასაც ვითვალისწინებთ, რომ შეცდომებს ის არ უშვებს, ვინც არ მუშაობს, ამიტომ მთელ რიგ შეცდომებს გაგებით ვეკიდებით. მაგალითად, ჩვენს კომპანიაში ცნობილია, რომ ნასვამ მდგომარეობაში მუშაობა კატეგორიულად დაუშვებელია. ალკოტესტის ჩატარების შემთხვევაში ყველა მზადაა მოსალოდნელი შედეგისთვის. ზოგადად, ნატახტარში ძალიან

დაბალია თანამშრომლების გათავისუფლების მაჩვენებელი. მაგრამ თუ აუცილებელია შტატის შემცირება, გარკვეული მიზეზების გამო, ის თანამშრომელი ამ შეტყობინებას იღებს ერთი თვით ადრე და მას ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია. ერთ მაგალითსაც მოვიყვან: დეკრეტული შვებულების პერიოდში თანამშრომელს გარანტირებული აქვს სამუშაო ადგილი და სრული ანაზღაურება.

კანონპროექტის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით ზეგანაკვეთურ სამუშაოდ ჩაითვლება კვირაში 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო და ყველა დამატებით საათზე განისაზღვრება გარკვეული ზეგანაკვეთური გადასახადი. დამსაქმებლის გადმოსახედიდან ეს რა პრობლემებს შექმნის, თუნდაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მხრივ, როგორ იყო ეს კოდექსში სიახლეების შეტანამდე კომპანია „ნატახტარში“?

ყველა თანამშრომელი იღებს ზეგანაკვეთურს როგორც კი, ნამუშევარი საათები 41 საათს გადაცდება. ამას ჩვენ ბიუჯეტის შედგენისას ვითვალისწინებთ. რადგან ლუდის ჩამოსხმა უწყვეტი პროცესია, ქარხანაში არის ლამის ცვლა, ლამის ცვლაში ჩვენი კოეფიციენტი 1.2, ხოლო სადღესასწაულო დღეებზე თანამშრომელს ორმაგს ვუხდით. ეს ყველაფერი ჩვენს კომპანიაში 2008 წლიდან არის დამტკიცებული.

ადნიშნული ცვლილებები შრომის კოდექსში რამდენად დაიცავს დასაქმებულს?

შრომის კოდექსში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მიზნად ისახავს მის გაუმჯობესებას, ნამდვილად მისასალმებელია. რა თქმა უნდა, ამ ცვლილებების შედეგად დასაქმებულები უფრო დაცულად იგრძნობენ თავს სამუშაო ადგილებზე.



საზოგადოების სიმშვიდე ძალების სისოსხის ფასად

უკვე ერთი წელია თბილისის მერიის ინიციატივით, მუნიციპალური თავშესაფარი აშენდა. იქამდე ცხოველების პოპულაციის მართვას შპს „დებიუტი“ ახორციელებდა. ცხოველთა დამცველი არასამათავრობო ორგანიზაციების განცხადებით, მუნიციპალური თავშესაფარი ვალდებულია, აკონტროლოს ცხოველების პოპულაცია და ამის ხარჯზე დახოცილი ძაღლების რიცხვი შემცირდეს.

სოფო აფციაური

დაახლოებით ერთი თვის წინ, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან, ეზოს მიკედლებული ხუთი ძაღლი გაქრა. სოფო ჯიბუტმა, რომელიც რამდენიმე მეზობელთან ერთად ამ ძაღლებს პატრონობდა, თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს მეორე დღესვე მიაკითხა, თუმცა, იქ არც ერთი მათგანი არ დახვდა.

თავშესაფარში კატეგორიულად უარყვეს, რომ ძაღლები მათ აიყვანეს, თუმცა, მეზობლები საპირისპიროს ამტკიცებენ. ისინი ჰყვებიან, რომ ცხოველები ღამით სწორედ თავშესაფარის მანქანაში ჩასვეს.

„ეს თბილისში ძაღლების გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარების პირველი შემთხვევა



არ არის. ამასთან, სოციალურ ქსელებში რამდენჯერმე გავრცელდა იმის ამსახველი ფოტოები, თუ როგორ უსწორდებოდნენ მანანალა ძაღლებს თავშესაფარში. ამიტომ, ეჭვი მაქვს, რომ ჩვენს ეზოში მცხოვრები ძაღლები მაშინვე დახოცეს,“ – ამბობს ჯიბუტი.

ბარბარე გოცაძემ დაკარგულ ბოქსიორს მეოთხე დღეს მუნიციპალურ თავშესაფარში მიაგნო, თუმცა, ძაღლი იქიდან წამოყვანის დღესვე გარდაიცვალა. „თავშესაფარის ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ ჩემს ბოქსიორს ქუჩაში მანქანა დაეჯახა და ფეხი ჰქონდა ნატკენი. არადა, მანქანის დარტყმულს არ ჰგავდა, სხეულზე პატარ-პატარა შესიებული ადგილები ჰქონდა და



ფოტო სოფო ავალიანი

აშკარად ნაცემი იყო. ჩაკეტილ სივრცეს ვერ იტანდა, ვფიქრობ, ვოლიერში ვერ ჩერდებოდა და მაგრად სცემეს. გარდა ამისა, არც წყალი და არც საჭმელი არ ედგა, ძალი სველ ვოლიერში გაშეშებული იწვა და პირიდან ღუჟი სდიოდა,“ – ამბობს გოცაძე და ასევე აღნიშნავს, რომ მის ბოქსიორს თავშესაფარში მოთავსებისას, არანაირი გამოკვლევა არ ჩაუტარდა, სხვადასხვა პროცედურული დარღვევის გამო კი, ძალი დაიღუპა.

ამ ისტორიას ვეტერინარი და არასამთავრობო ორგანიზაცია „სრულიად საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარე ვახტანგ მამალაძეც იხსენებს და ამბობს,

რომ ბარბარემ ბოქსიორი გასასინჯად თავშესაფრიდან სწორედ მას მიუყვანა: „პირველადი დანმარება აღმოფუჩინე და ორგანიზების გამოსაკვლევად ზოოპარკში ექოსკოპიაზე გავეშვი. აღმოჩნდა, რომ ძალს ელენთის ტრავმა ჰქონდა და სხეულზე აშკარა ცემის კვალი ეტყობოდა“.

დაახლოებით ერთი წელია, რაც მერიის ინიციატივით, ძაღლების მუნიციპალური თავშესაფარი გაიხსნა. 2012 წლამდე ცხოველების დაჭერის და ზედამხედველობის მოვალეობა შპს „დებიუტს“, ანუ საქართველოს პირველ ვეტერინარულ კლინიკას ეკისრებოდა, თუმცა, ვახტანგ მამალაძის თქმით, „დებიუტის“ თანამშრომლები

■ „პირველ რიგში, საჭიროა, მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა და მოხდეს საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება. ჩვენ მოვითხოვდით, რომ საქართველო „ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციას“ მიერთებოდა. ამ დოკუმენტში დეტალურადაა განვრილი რეგულაციები, რაც ცხოველთა დამცველებს მუშაობას გაგვიადვილებს.“

ძალეებს სასტიკი მეთოდებით უსწორდებოდნენ და ხოცავდნენ. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე თბილისში დაახლოებით 100 000 ძალის გამოყენებას განიცდიდა.

„2012 წლამდე თბილისში განსაკუთრებით საშიშელი მდგომარეობა იყო, ცხოველებს თოფით, რკინებით და ქვებით, არაადამიანური მეთოდებით კლავდნენ. გარდა ამისა, „ბეიკერის“ ორმოში ყრიდნენ და მარილმყავათი წვავდნენ,“ – ამბობს მამალაძე.

ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ თბილისში მერამ მუნიციპალური თავშესაფრის აშენებით კარგი ნაბიჯი გადადგა. დღეს ცხოველებს ქუჩაში მამალაძესთან ალარ იჭერენ, თუმცა, ვახტანგ მამალაძესა და „ცხოველთა უფლებების კომიტეტის“ თავმჯდომარის, თინა ჭავჭავაძის განცხადებით, პრობლემა თვითონ თავშესაფრის ზღურბლს მიღმა იმალება.

„ძალი დავხურულ სივრცეს ვერ იტანს, შესაბამისად, რაც მე თავშესაფარში ვნახე, ცხოველების მიმართ ჰუმანურ მოპყრობას არ ჰგავდა. ერთ ვოლიერში რამდენიმე ცხოველი, საკუთარ ფეკალიებში იჯდა. თავშესაფრის ხელმძღვანელობის მიმართ ჩემი მთავარი პრეტენზია ისაა, რომ განერილი პროცედურები, ზერელედ ან საერთოდ არ სრულდება. ძალების ნაწილს საკარანტინე პერიოდის ნაცვლად, შეყვანისთანავე ვოლიერებში ათავსებენ, უმეტესობას კი კლავენ,“ – ამბობს თინა ჭავჭავაძე.

მისი თქმით, როდესაც თავშესაფრის აშენების იდეა გაჩნდა, არასამთავრობოების დახმარებით, მუშაობის სპეციალური გეგმა შემუშავდა. პროექტში ის პროცედურები სამუშაოები იყო განერილი, რომლითაც თავშესაფარმა უნდა იხელმძღვანელოს. პროცედურა ცხოველთა (ძალი, კატა) პერმანენტულ ზედამხედველობას, სამშველო ოპერაციების (ცხოველთა აყვანა – ტრანსპორტირება) შესრულებას, მუნიციპალურ თავშესაფარში მათ დროებით დაბინავებას, ვეტერინარულ მომსახურებას – ვაქცინაციას, ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას და სტერილიზაციას-კასტრაციას ითვალისწინებს.

ძალის თავშესაფარში მიყვანისთანავე მისი ვოლიერში მოთავსება აკრძალულია. ვეტერინარი ცხოველს 10 დღის განმავლობაში უნდა დააკვირდეს, ვაქცინაცია-სტერილიზაცია ჩატარდეს და ვოლიერში მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვანოს.

10 დღის შემდეგ, თუ აღმოჩნდა, რომ ძალი მძიმედაა დაავადებული, მხოლოდ და მხოლოდ ვეტერინარის ნებართვით, უმტკივნეულო მეთოდებით ანუ, ევთანაზიის გამოყენებით უნდა დააძინონ.

ხოლო, თუ ცხოველი ჯანმრთელია, ან გაჩუქდება ან მიკედლებულ ადგილს უბრუნდება.

გარდა ამისა, მუნიციპალური თავშესაფარი კერძო თავშესაფრებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და ცხოველების ნაწილი იქ გადაჰყავთ.

თამაზ ელიზბარაშვილი ერთ-ერთი ასეთი თავშესაფრის მფლობელია. ის ამბობს, რომ მასთან მუნიციპალური თავშესაფრიდან ძალები ძალიან ხშირად შეჰყავთ. ელიზბარაშვილის ინფორმაციით, 24 საათის განმავლობაში, საგანგებო სიტუაციების სამსახური დაახლოებით 40-მდე ძალს იჭერს, მუნიციპალურ თავშესაფარში კი, მხოლოდ 200-მდე ძალის ადგილია. შესაბამისად, თავშესაფარს ყველა უზედამხედველო ცხოველის შეფარების საშუალება არ აქვს.

„თავშესაფრის ხელმძღვანელობასთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს. პირველ რიგში, თბილისის მერიამ მისი ბიუჯეტი სწორედ უნდა განსაზღვროს. ამასთან, არაცივილური მეთოდებით ძალები ალარ უნდა დახოცონ,“ – ამბობს ელიზბარაშვილი.

თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 2013 წლის ძალების მუნიციპალური თავშესაფრისთვის 400 000 ლარია გამოყოფილი, – ერთი ცხოველის ევთანაზია 3-5 ლარი ჯდება.

2012 წლის 31 დეკემბრამდე თბილისის მასშტაბით მუნიციპალურ თავშესაფარში სულ 4776 ცხოველი შეიყვანეს, აქედან მიკედლების ადგილს დაბრუნებულია – 504, გაჩუქდა – 259, თავშესაფარს დაექვემდებარა 938, დარჩა 184, ხოლო ევთანაზია ჩატარდა 3838 ცხოველს.

არასამთავრობოების რეკომენდაციით, ცხოველთა პოპულაციის მართვა საერთაშორისო ჰუმანური ნორმებითა და მეთოდებით უნდა ხორციელდებოდეს. „ქუჩაში უზედამხედველო ძალების მომრავლების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ისაა, რომ ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაციას თავშესაფარი ვერ უზრუნველყოფს. ამის გარეშე პოპულაციის მართვა ვერ მოხერხდება, გარდა ამისა, მიკედლებულ ადგილზე გამკვებული ძალები იდენტიფიცირებული უნდა იყვნენ და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ სპეციალური ნიშნის მქონე ძალები, მათთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ,“ – ამბობს ჭავჭავაძე.

ალსანიშნავია, რომ ცხოველთა უფლებები არცერთ იურიდიულ დოკუმენტში მოხსენიებული არ არის, თუმცა, ცხოველისადმი სასტიკი მო-

■ თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 2013 წლის ძალების მუნიციპალური თავშესაფრისთვის 400 000 ლარია გამოყოფილი, – ერთი ცხოველის ევთანაზია 3-5 ლარი ჯდება. 2012 წლის 31 დეკემბრამდე თბილისის მასშტაბით მუნიციპალურ თავშესაფარში სულ 4776 ცხოველი შეიყვანეს, აქედან მიკედლების ადგილს დაუბრუნდა – 504, გაჩუქდა – 259, თავშესაფარს დაექვემდებარა 938, დარჩა 184, ხოლო ევთანაზია ჩატარდა 3838 ცხოველს.

პერობა სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით ისჯება. კერძოდ, ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, აგრეთვე ცხოველის წვალება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფურად, არაერთგზის, მცირეწლოვნის თანდასწრებით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

2012 წლის 12 აგვისტოს თბილისის საკრებულომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით, ძაღლების შერკინება აიკრძალა. თუმცა, მიუხედავად ამისა ძაღლების ჩხუბი არაღეგალურად მანც იმართება. ამავ დებულებით, ძაღლებსა და კატების პატრონები ვალდებული არიან, მოუარონ საკუთარ ცხოველებს, მათი ჯიშისა და ბიოლოგიური განსაკუთრებულობის გათვალისწინებით, უნდა გაუკეთონ საიდენტიფიკაციო მიკროჩიპი ან სპეციალური საყელური, გარდა ამისა, ქუჩაში სასეირნოდ გასაცვან ძაღლს სპეციალური ნებართვის ბარათი უნდა ჰქონდეს. ცხოველის გარდაცვლის შემთხვევაში აუცილებელი მოთხოვნაა, ამის შესახებ ვეტერინარულ სამსახურებს — ვეტერინარულ კლინიკას და მერიის შესაბამის უწყებას ეცნობოს. მათ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში დამარხავენ.

დადგენილების მიხედვით, უზედამხედველო ქუჩის ცხოველებს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში დახოცავენ. ანუ, მაშინ, როცა ცხოველი ტრავმირებულია, წვალობს ან საშიშია საზოგადოებისათვის. ასევე, გათვალისწინებულია მანანალა ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაცია.

სოფო ჯიბუტი, რომელსაც სახლში ორი ძაღლი ჰყავს, ამბობს, რომ ერთადერთი, რაც ამ დადგენილებაში მოსწონს, პატრონისთვის დაკისრებული მოვალეობაა, რომელიც ცხოველის მიერ დასერილი ადგილის გასუფთავებას ითვალისწინებს. დანარჩენი მუხლები კი, სოფოსთვის ძალიან ბუნდოვანია, და მისი აზრით, ისევ ცხოველების სანინალამდეგოდაა მიმართული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელი ცხოველთა დაცვის არცერთ საერთაშორისო კონვენციაზე არა აქვს მონერილი.

„პირველ რიგში, საჭიროა, მონესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა და მოხდეს საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება. ჩვენ მოვითხოვდით რომ საქართველო „ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციას“ მიერთდებოდა. ამ დოკუმენტში დეტალურადაა განერილი რეგულაციები, რაც ცხოველთა დამცველებს მუშაობას გაგვიადვილებს. ჩვენ გვინდა, რომ ცხოველთა, კერძოდ



ფოტო გარსა თორაძე

კი ძაღლების უსაფრთხოება სახელმწიფო ორგანიზაციების დონეზეც იყოს გარანტირებული „– ამბობს „ცხოველთა დაცვის კომიტეტის“ თავმჯდომარე.

„ლიბერალი“ მინიციპალიტეტის თავშესაფრის დირექტორს დავით სადათურაშვილს დაუკავშირდა, თუმცა მან საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის უფროსთან თემურ გიორგაძესთან გადაგვამისამართა.

გიორგაძის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სტერილიზაციის მეთოდით, ძაღლების პოპულაციის მართვა კონტროლდება, დღესდღეობით თბილისის მასშტაბით ათასობით უზედამხედველო ცხოველია. მათი უმეტესი ნაწილი კი მძიმე დაავადების მქონეა „დღის განმავლობაში უამრავი გამოძახება გვაქვს, ზოგჯერ მანანალა ძაღლები მოსახლეობას სახლებში უვარდებიან, გარეთ ბავშვების გამოყვანის ეშიანიათ. ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაციების უკმაყოფილების მიუხედავად, ვფიქრობ, რომ იმ ძაღლების დაახლოებით 80%, რომლებიც თავშესაფარში შემოჰყავთ, დასაძინებელია. ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი უსაფრთხოებაა,“ – აღნიშნა გიორგაძემ.

„ლიბერალმა“ მუნიციპალურ თავშესაფარში შესვლა სცადა, თუმცა სტატიაზე მუშაობის პერიოდში ეს ვერ მოვახერხეთ. საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსმა დაავადებების გავრცელების სამიშროება მოიმიზეზა. მისი განმარტებით, სტრუქტურა საჯაროა, თუმცა დაავადებების გამო, წინასწარ მოზადება და გარედან შესული პირებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა საჭირო. ■

ფოტოგრაფია

დაუსველი ტერიტორიები

თემო ბარძიმაშვილი


საქართველოში ეროვნული პარკები საუკუნეზე მეტია რაც არსებობს. ქვეყნის უძველესი დაცული ტერიტორია – ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი, 1912 შეიქმნა.

ამჟამად საქართველოში 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 9 ეროვნული პარკი და 30-ზე მეტი სხვა ტიპის დაცული ტერიტორიაა – საერთო ფართობი 511 123 ჰა, რაც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 7% შეადგენს. ახლო მომავალში კი ამ ტერიტორიების დამატებით 557 846 ჰა-ით გაზრდა, ანუ გაორმაგება იგეგმება. ეს კი მსოფლიოს ბევრ სხვა განვითარებულ ქვეყანაში ეროვნული პარკების მიერ დაკავებულ ტერიტორიას აჭარბებს. მაგალითისთვის, კანადაში ეროვნული პარკები ქვეყნის ტერიტორიის 3.78% შეადგენს. საფრანგეთში ეს მაჩვენებელი 9.5%, ხოლო ისლანდიაში 12.1%-ია. ამიტომ როცა დაცული ტერიტორიები ქვეყნის დაახლოებით 14%-ია, ეს გარემოზე ზრუნვის კარგი მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო.

ამის მიუხედავად, საიდუმლო არაა, რომ საქართველოში გარემოს დაცვა არა მხოლოდ პირველ ადგილას არ დგას, არამედ ერთ-ერთი ყველაზე უგულვებელყოფილი სფეროა. წლების განმავლობაში გარემოს დაცვაზე გამოყოფილი თანხა 0.5% არ აჭარბებს, რაც დაცული ტერიტორიების მდგომარეობაზეც აისახება.

ეროვნულ პარკსა და დაცულ ტერიტორიაზე მოქმედ რეინჯერულ სამსახურებს არ გააჩნია სათანადო აღჭურვილობა, რომ პარკის ტერიტორიებზე პატრულირება განახორციელონ და საჭიროების შემთხვევაში აღკვეთონ უკანონო ნადირობა თუ თევზაობა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ვაშლოვნის ეროვნული პარკი, სადაც რეინჯერების ძირითადი საქმიანობა ბუნგალოების დალაგებით და ტურისტების მომსახურებითაა შემოფარგლული, ხოლო პატრულირება მხოლოდ ფეხით და ცხენით ხდება. ამის შედეგია ის, რომ დღესდღეობით ეროვნული პარკის ტერიტორიაზე თოფის ხმა საკმაოდ ხშირად ისმის.

ამას ემატება სხვა პრობლემებიც. მაგალითად, ვაშლოვნის ტერიტორიის ნაწილი ცხვრის ფარების გამო საზამთრებელი ტრადიციულ ადგილია. პარკის დაცულ ტერიტორიაზე მცხოვრები მგლები თავს ესხმიან ცხვრის ფარას, რის შედეგად მეცხვარეები იძულებული არიან მათ დაუპირისპირდნენ.

მსგავსი პრობლემები საქართველოს თითქმის ყველა ეროვნულ პარკსა და ნაკრძალში მოინახება, ხოლო „დაცულ ტერიტორიებად“ წოდებულ მინებზე ველური ბუნება კი დღესდღეობით ფაქტობრივად დაუცველია. 




პალიასტომის ტბაზე სანადიროდ გასული ორი მონადირე კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ცეცხლმოკიდებულ ლელიანს გადაჰყურებს. პარკის ტერიტორიაზე ლელიანის გადანვა, ხშირად, სწორედ მონადირეებისა და მესაქონლეების მიერ ხდება. პირველ შემთხვევაში, ეს გადავილებული ნადირობით, ხოლო მეორეში კი, საქონლისთვის საძოვარი ადგილის გათავისუფლებითაა განპირობებული.




ვაშლოვნის ეროვნული პარკი
მზის ამოსვლისას.



მკვლევარი ანტენის მეშვე-
ობით ცდილობს დაადგინოს
ვაშლოვნის ეროვნული პარკის
ტერიტორიაზე რადიოსაყე-
ლოგამობმული საკვლევი
მგლის ადგილმდებარეობა.






ჩხინკა, ვაშლოვნის ერთ-ერთი საკვლევი მგელი, ცხერის ფარაზე უიღბლო თავდასხმის შედეგად მეცხვარე ძაღლებმა დაგლიჯეს. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ველური ცხოველებისა და ადამიანის ამგვარი კონფლიქტები საკმაოდ ხშირია.



მეცხვარე ვაშლოვნის ეროვნულ პარკში.



რეინჯერი ვაშლოვნის
პატრულირებისთვის
ემზადება.



აზერბაიჯანიდან გადმოსული ბრაკონიერები ალაზანზე ელექტროშოკის მეშვეობით თევზაობენ. ადგილობრივი რეინჯერები ამბობენ, რომ თევზაობის ამ არალეგალური სახეობის აღკვეთა შესაძლებელია ძრავიანი ნავეებით, რომელიც მათ არა აქვთ. აზერბაიჯანელმა ბრაკონიერებმა ეს იციან და ნაპირიდან სულ რამდენიმე ათეულ მეტრში უმიმრად თევზაობენ, ხშირად კი ალაზნის საქართველოს ნაწილზეც გადმოდიან.



გასროლილი ვაზნა ვაშლოვნის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.



ვაშლოვანში წყალი იშვიათობაა, ამიტომ რეინჯერის ერთ-ერთ სადგურზე მდებარე ჭა თვით რეინჯერის, ადგილობრივი მეთევზეებისა და მესაზღვრეების შეკრებისა და დასვენების ადგილია.

ემოციებსა და ფაქტებსა

ბექა დავითულიანი

დიდი ხანია არაფერი დამინერია და შესაბამისად, ბევრი საკითხი დამიგროვდა, რომლის გააზრებასაც ვისურვებდი, მინიმუმ საკუთარ თავთან, კარგ შემთხვევაში კი, მკითხველთან ერთად. ცხადია, ყველაფერს ამ ერთ პოსტში ვერ ჩავტევ, ამიტომ მხოლოდ იმ თემებს შევეხები, რომლებმაც ბოლო დღეების მანძილზე ყველაზე მეტად მომიშალა ნერვები. შესაბამისად, თემას ტელეკომპანია “მესტროს” ეთერში განვითარებული შესლა-შემოხლოთ ვინყებ, სადაც დეპუტატებმა სერგო რატიანმა და კობა დავითაშვილმა პატარა ორთაბრძოლა მოაწყვეს. ფაქტია, რომ ჩვენ ემოციური ხალხი ვართ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხშირად ეს ემოციები გვლუპავს, ამიტომ დღეს მხოლოდ ემოციებსა და ფაქტებზე ვისაუბრებ:

ემოციურად ალვიქვი ის, რომ გუშინდელ ეთერში კობა დავითაშვილი უცნაურად მოიქცა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არაფერში წაადგება, არც მას და არც მის გუნდს.

ემოციურად ალვიქვამ იმასაც, რომ სერგო რატიანი ფორმალურად მართალი იყო, როდესაც დავითაშვილს ეუბნებოდა, ჩვენს ცემაზე პასუხისმგებლობა ხელი-სუფლებას ეკისრებაო და ამ დროს, მისი „პოლიტიკური გუნდის“ მხრიდან ჩადენილ არცერთ ძალადობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს, ქვეყანაში არსებულ კონტექსტს არსად დაგიდევს, საკუთარ გუნდს პოლიტიკურ მსხვერპლად წარმოაჩენს და ოპონენტს ეუბნება – რა მნიშვნელობა აქვს ამ საქმესთან შენი „მკვლევლობის“ მცდელობის“ სამჯერ განმეორების ფაქტსო. სამისა რა გითხრათ, მაგრამ ფაქტია, ერთხელ მეც შევესწარი მის „მკვლევობას“ ე.წ. „ელიავას ბაზრობის ტერიტორიაზე“, სადაც სპეც-რაზმის ქურთუკებში გამოწყობილმა მუტრუკებმა, რკინის ხელკეტები ისე ურტყეს თავში, რომ კარგა ხანს კობა დავითაშვილი მკვდარი მეგონა.

ემოციურად მახსენდება მისი მონოდებაც – „ქართველები არ ხართ, მიშველეთ, ნუ გაატანთ ამთ ჩემს თავს, მომკლავებო“. მაგრამ ფაქტია – იქ მდგომი ორმოცდაათი ადამიანიდან ან არცერთი არ ვიყავით ქართველი, ან ბ-ნ კობას ქართველებზე გადაჭარბებული

წარმოდგენა ჰქონდა. მხოლოდ ერთმა მღვდელმა გაბედა წინააღმდეგობის განწევა და ისიც გულმკერდში მიღებული ნიხლის და გინების ამარა დავტოვეთ. ეს სწორედ იმ ეკლესიის წევრი იყო, რომელსაც ემოციურად ე.წ. ინტელექტუალები, მათ შორის ბევრი ჩემი მეგობარიც „სიბნელის სავანედ“ მოიხსენიებს. ფაქტია, იმ დღეს როდესაც მართლა ბნელოდა, მხოლოდ ამ „სავანის“ მოციქულმა შეძლო ძალადობის წინააღმდეგ ხმის ამოღება, მოყვასის გადასარჩენად. არც ნიხლს მოერიდა, არც მანქანაზე დაკიდებას და არც ტალახში ამოსვრას. ჩვენ კი ვიდექით და ვფიქრობდით, ნეტა ჩვენც არ მოგვდგენენ-თქო.

იმ დღეს (ეს დღე შვიდი ნოემბერი იყო) ემოცია მქონდა, რომ ქვეყანაში დიქტატურა დამყარდა და ჩვეულებრივ ლათინო-ამერიკულ რეჟიმში მომიწევდა ცხოვრება, მაგრამ ფაქტია, ნაწილობრივ გადავაგორეთ ეს ამბავი და ამის მერე ყველაფერი უნდა ვქნათ, რომ იგივე აღარასოდეს განმეორდეს.

ემოციაა, რომ საჯარო ბიბლიოთეკასთან შეგროვებულ ხალხს უფლება ჰქონდა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ პასუხი მოეთხოვა ციხეში უსამართლოდ და არაადამიანურად გატარებულ წლებზე, მაგრამ ფაქტია, რომ ამით სწორედ მათ წისკვილზე დაასხეს წყალი. ისიც ფაქტია, რომ ძალადობას ხანგრძლივ პერსპექტივაში არასოდეს მოაქვს დადებითი შედეგი.

ემოციაა, რომ ქალისთვის ხელის დარტყმა საშინელებაა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩიორა თავთაქიშვილის ცემაზე იგივე განცდა არ გამჩენია, რადგან, როცა ხალხს სისხლის მდინარეებს მიაჩვევ, მერე ორი თუნდაც „ცისფერი“ სისხლის წვეთით ველარ მოიპოვებ მათ თანაგრძნობას. ეს შეიძლება დიდი პრობლემაა, რომელიც

ჩვენი გაუხეშებით არის გამოწვეული, მაგრამ ფაქტია – არც ჩიორას და არც მის პოლიტიკურ გუნდს მოუცია თანაგრძნობის მიზეზი, რადგან არცერთხელ და არსად არ მოუწინაინებიათ ის ძალადობა, რომელიც მათი მმართველობის ხანაში ხდებოდა და დღემდე იმავე პოლიტიკას აგრძელებენ, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ „ჩიჩინი ჭრის“. სწორედ ამიტომ არ იცილებდა,

ემოციურად ძალიან გამაღიზიანებელი და სამარცხვინოა, როდესაც ხედავ, ეს ადამიანები როგორ იქცევიან, მაგრამ არანაკლებ სამარცხვინოა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც საკუთარ ბოლმას ვერ ერევა და „ეხლა ჩემი დროას“ პრინციპით იმავეს უკეთებენ სხვას, რის გამოც ვერ იტანდნენ თავის დროზე.



გიგი უგულავა საჯარო ბიბლიოთეკას მომხდარი დაპირისპირების შემდეგ, თბილისი, 8 თებერვალი 2013

ფოტო: ანტონი ბოლბა

შეყვარებულის ამბორივით შერჩენილ სისხლს ტუჩიდან ქ-ნი ჩიორა, სანამ ყველა კამერამ არ დააფიქსირა და სწორედ ამიტომ თქვა ისტორიული სიტყვები, რომ „მოლაღატის“ ხელი მტკივნეული არ არის. მიუხედავად ამ უმტკივნეულო ხელისა, რომლის მოხვედრის შემდეგაც მთელი საღამო პრეზიდენტის სასახლეში მის გამოსვლას უსმინა, ევროპარლამენტარს საკუთარ სახლში მელოგინე დახვდა, რათა პოლიტიკური მსხვერპლის როლი ბოლომდე ეთამაშა და სამარცხვინო პიარული სვლა წარმატებით დაეგვირგვინებინა.


ემოციურად ძალიან გამაღიზიანებელი და სამარცხვინოა, როდესაც ხედავ, ეს ადამიანები როგორ იქცევიან, მაგრამ არანაკლებ სამარცხვინოა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც საკუთარ ბოლმას ვერ ერევა და “ეხლა ჩემი დროა” პრინციპით იმავეს უკეთებენ სხვას, რის გამოც ვერ იტანდნენ თავის დროზე.

ეს ხალხი პოლიტიკოსზე შექმნილ ჩემს სტერეოტიპში ვერაფრით ჩავსვი. კი ბატონო, მესმის – გაგამწარეს, ბევრს ისეთი რამე გიქნეს, რაც ჩემთვის, რომ ექნათ, არ ვარ დარწმუნებული, რომ სადარბაზოში არ დავხვდებოდი და არ მოვკლავდი, მაგრამ თუ ასე ვერ ინელებთ, გაემვით პოლიტიკას და აირჩიეთ ან პატიება, ან ციხე. ხომ

ხედავთ ჩიჩია და ბაბა ერთად არ გამოდის და თქვენს ბოლმას შეიძლება ქვეყნის მომავალი გადაყვეს.

ემოციურად გასაგებია, რომ ოპოზიციის მიზანი ხელისუფლების დისკრედიტაციაა და არა თანამშრომლობა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ამ ქვეყნისთვის ნორმაა ყველა დროში და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვისი მხრიდან რა არის პროვოცირებული. ხელისუფლებამ პროვოკატორი მოქალაქეც უნდა დაიცვას, ან არ უნდა მისცეს პროვოცირების საშუალება.

რამდენიც არ უნდა ვწერო და ვიფიქრო, ვხედავ, ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით ხელისუფლება თავის მართლების პოზიციაში ჩადგა, ოპოზიციამ კი ევროპელების თვალში თავი მსხვერპლად წარმოაჩინა. ასე თუ გაგრძელდა, ადრე თუ გვიან შედეგი დადგება. შესაძლოა, რომელიმე მხარისთვის სასარგებლო, მაგრამ ქვეყნისთვის – არასასურველი.

და ბოლოს, ემოციურად მინდა, რომ ეს პერიოდი რალაცნაირად გადავლახოთ და მოვლენებს გვერდიდან, ერთი მხრივ, სამართლებრივად, მეორე მხრივ კი, თანაგრძნობითა და გაგებით შევხედოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ვიდუოს შემყურეს ბევრი არაფრის იმედი უნდა გქონდეს. 



„ამ საღამოს შემძლია გამოვაცხადო, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდება კიდევ 34 000 ამერიკელი ჯარისკაცი. ეს შემცირება გაგრძელდება და მომავალი წლის ბოლოს დასრულდება ჩვენი ომი ავღანეთში“ –

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა



„სამართალდამცავი ორგანოს ორი მოვალეობაა: პატივი სცეს დეპუტატის სტატუსს და მოწვევა რამდენჯერმე გაიმეოროს და თუ დეპუტატს ეს არ ესმის, მაშინ თავად უნდა მივიდეს და, ყველა მისი უფლების დაცვით, განახორციელოს დაკითხვა“ –

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი



„საქართველო თანმიმდევრულობისა და მიზანდასახულობის მაგალითია შეთანხმებული რეფორმების განხორციელების გზაზე. დარწმუნებული ვარ, მიუხედავად გამოწვევებისა, ისინი ასევე გააგრძელებენ, მიუხედავად გამოწვევებისა, კოჰაბიტაციის პროცესში“ –

**გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის
საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე**



„ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია, სამართალდამცავი და უსაფრთხოების სტრუქტურების დეპოლიტიზაციისა და კოჰაბიტაციის აუცილებლობაზე. 8 თებერვლის მოვლენებმა დაგვანახა, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის დარღვევას“ –

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი



www.ucnobifm.ge



 RBS



NATIONS™

ჩვენსი ჩრის რეგვიონი
2 თებერვლინ
ყოვჩე გეგეთ ქვირანს

